# ალია

„მაგთისატმა“ 2 წლის იუბილე 100 000-ზე მეტი მომხმარებლითა და საკუთარი წარმოების 3 ახალი არხით აღნიშნა

MAGTI SAT

ASTRA

N11/2941/ 24-27 იანვარი 2014 წ | ფასი 1 ლ

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

**რისთვის უჩივლა ბაჩო ახალაიას მეუღლემ მანანა კობახიძეს სასამართლოში?**



## ექსკლუზივი

### რა საიდუმლო ინფორმაციას უმხელს მამუკა არეშიძე „ალიას“?

„ექსკლუზიურად გეტყვით, მაქვს ინფორმაცია წყაროებიდან იმის თაობაზე, რომ მათთან საუბარი ჰქონდათ ამერიკის სპეცსამსახურის წარმომადგენლებს. რასაკვირველია, ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია, თუმცა ერთს გეტყვით“

ვრცლად 7 გვ.



**ექსკლუზივი**

**რატომ ჩამოიხრჩო თავი საქართველოს საელჩოს მძღოლმა?**



**კულუარები**

**ვისი დაღუპვა გაასაიდუმლოვა გიული ალასანიამ?**



**ექსპრესი**

**სოსო ცინცაძე ივანიშვილზე, მარგველაშვილსა და ხადურზე...**



## ექსკლუზივი

### რა სკანდალი მწიფდება თეა წულუკიანსა და ნოდარ ხადურს შორის?





## ექსკლუზივი

### რას ყვება საფრანგეთში მოღვაწე გიორგი ფოფხაძე კეზერაშვილის პროცესზე?





ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ირაკლი ღარიბაშვილი საუდის არაბეთის პრინცს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საუდის არაბეთის პრინცს ტურკი ალ ფაიზალს შეხვდა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუდის არაბეთი საქართველოში ინვესტირებისთვის მზად არის, რაც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას ხელს შეუწყობს. (ინტერპრესნიუსი)

### ჭიკაიძემ ლონდონის პოლიციის ცენტრი დაათვალიერა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ოფიციალური ვიზიტით დიდ ბრიტანეთში იმყოფება. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მინისტრმა ლონდონის პოლიციის ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერა და პოლიციის მიერ ინციდენტების რეაგირებისა და მართვის შესახებ მიიღო ინფორმაცია.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია მინისტრის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ლონდონის საქალაქო პოლიციის სამსახურის შტაბ-ბინა „სკოტლანდ-იარდში“, მინისტრი ასევე შეხვდება დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სააგენტოს დირექტორს, სადაც ხელი მოეწერება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს.

(ინტერპრესნიუსი)

### ლარის გასამყარებლად 40 მილიონი დოლარი კიდევ გაიყიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის გამყარების მიზნით ისევ დოლარი გაყიდა. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 23 იანვარს 40 000 000 აშშ დოლარი გაყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 1.7792 შეადგინა. ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ბოლო რამდენიმე თვეა, გაუფასურებას განაგრძობს. (ინტერპრესნიუსი)

## ომბუდსმენი მუსლიმან სასულიერო პირებს ესაუბრა



საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ქვემო ქართლში მოღვაწე მუსლიმან სასულიერო პირებს შეხვდა და საქართველოს მუსლიმანების განვითარების ორგანიზაციული საკითხი განიხილა.

ომბუდსმენის აპარატის ცნობით, მუსლიმანი სასულიერო პირები უკმაყოფილებას გამოთქვამენ მუსლიმანთა თემზე სახელმწიფო ძალოვანი უწყებების ზეწოლის გამო. მათი ინფორმაციით, 2010 წელს მუსლიმანთა სამმართველოს შექმნის დღიდან ძალოვანი უწყებები უხეშად ერევიან სამმართველოს საქმიანობაში, მათ შორის, 2013 წლის 25 დეკემბერს ახალი შეიხის რამინ იჯიდოვის არჩევაში. მათი ინფორმაციით, საქართველოს ძალოვან უწყებებში იგივე ადამიანები განაგებენ მუსლიმანთა საკითხებს, ვინც 2005 წლიდან განაგებდა და ეს პირები წლებია, ახდენენ მუსლიმანთა თემის სამართლიანი მოთხოვნების იგნორირებასა და რიგ შემთხვევებში ზეწოლას.

„როგორც სასულიერო პირები აცხადებენ, საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს რვა დამფუძნებლიდან ერთ-ერთი დამფუძნებელი საერთოდ არ არის მუსლიმანი, ხოლო სხვა დამფუძნებლები არ იცავენ მუსლიმანურ წესებს და ამავე დროს არიან სახელმწიფო უწყებების ყოფილი თანამშრომლები, ამდენად მათი ჩართვა ესოდენ მნიშვნელოვან რელიგიურ საკითხში, თეოლოგიური თვალსაზრისით, მიუღებელია. შეხვედრის მონაწილეთა მოსაზრებით, ირღვევა მათი რწმენის თავისუფლება, რაც შეურაცხმყოფელია ისლამური სარწმუნოების მიმდევართათვის.

ათეულობით მუსლიმანმა სასულიერო პირმა განცხადებით მიმართა და სახალხო დამცველს თავიანთი რელიგიური უფლებების დაცვაში დახმარება სთხოვა. სახალხო დამცველი მათ საკითხის ზედმიწევნით შესწავლას დაჰპირდა“, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ამბობს ხიდაშელი უარს ნუგზარ წიკლაურისთვის პასუხის გაცემაზე?

**„ნაციონალი“ ნუგზარ წიკლაური სოციალურ ქსელ „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს: „სამარცხვინო პოზიციამ, რაც საქართველოს ხელისუფლებას აქვს, დაადასტურა, რომ მენტალურად იანუკოვიჩსა და ივანიშვილის მთავრობას შორის სხვაობა არ არის და დღეს უკრაინიდან რენეგატი იანუკოვიჩის გაძევება ნიშნავს ხვალ საქართველოდან რუსი ოლიგარქის გაძევებას“. ანუ „ნაციონალები“ ხელისუფლების ჩამოსაგდებად ემზადებიან.**

**„ალიას“ შეკითხვებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი პასუხობს:**

— **ნუგზარ წიკლაური** თემა, რომელიც ამ წუთას საქართველოში პრობლემატურია, არ აღვიქვამ არც სერიოზულად და მით უფრო, არც საფრთხედ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განცხადებას. ჩვენი ქვეყნის არჩევანი დიდი ხანია გაკეთებულია და გარკვეული, ამიტომ ვერავის განცხადება ვერ შექმნის იმ ფონს, თითქოს საქართველოს პროევროპული არჩევანი გაკეთებული არ არის და ქვეყანა ამ გზას არ ადგას. მე მესმის, რომ შეთქმულების თეორიებით არის ხალხი დაკავებული, მაგრამ მე არ მაქვს ვალდებულება, რომ კეთებს, მე ვერ შევაფასებ. რაც შეეხება თარგამაძეს, სკანდალი არის სკანდალი, მაგრამ, როდესაც ხარ ხელისუფლებში, უკვე სხვანაირი ვალდებულება და პასუხისმგებლობა გეკისრება, ამიტომ, რასაც მე დღეს ვიტყვი, შეიძლება ეს იყოს საზოგადოებაში აღქმული ისე, როგორც ვერდიქტი. ჩემი პასუხი ამ კითხვაზე არის მარტივი, მე ცხრა წლის განმავლობაში იმდენი რამე მაქვს ნათქვამი, იმდენი დოკუმენტი მაქვს გამოქვეყნებული, იმდენი ქმედება მაქვს განხორციელებული „ნაციონალური

**გკითხავენ და უკრაინელი ხალხის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში გადანაშაულებენ?**

– რა ვქნათ? პირი ავუკრათ? გივი თარგამაძეს მორალი და ზნეობა თუ არ გააჩნია, მე როგორ უნდა მოვიქცე? პრინციპში, პირი ისედაც აკრული აქვს, ისე მეტყველებს, მაგრამ როგორ მოვიქცე, არ ვიცი. იმ ხალხმა შეახსენოს თარგამაძეს, რომ არ აქვს მორალური უფლება საუბრის, ვისაც „ამოსაქაჩი“ აქვს ის ცხრა წელი, ვინც გულგრილად უყურებდა 26 მაისს და დუმდა, მე ეგ არ მჭირდება. კიდევ ერთხელ

მეორეა, ჩვენ გვაქვს თუ არა უფლება, ავუკრძალოთ ვინმეს განცხადების გაკეთების გაკეთება. ჩვენ პირს ვერავის ამოვუკერავთ.

— **დაბოლოს. საზოგადოებრივი მაუწყებლის თემაზეც გკითხავთ, ამ დრომდე არ ჰყავს უმრავლესობას შერჩეული ორი კანდიდატი, რომელსაც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში წარადგენს, როდის შეიძლება შეივსოს ეს ორი კვოტა?**

– ჯერ კენჭისყრაა წინ იმ კანდიდატურების, ვინც უკვე შერჩეულია. რაც შეეხება ჩვენს კანდიდატებს, უმრავლესობა აუცილებლად შეავსებს იმ კვოტას, რაც

**იანუკოვიჩის უკრაინიდან გაძევების შემდეგ, „რუსი ოლიგარქის“ საქართველოდან გაძევებას პროგნოზირებს. რას უპასუხებთ თქვენს მიერვე „ნომერ პირველ ოპოზიციურ პარტიად“ წოდებული „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლის განცხადებას?**

– საერთოდ არ მაინტერესებს „ნაციონალური მოძრაობა“, არ აღვიქვამ სერიოზულად მათ განცხადებებს და არც შეთქმულების თეორიებს ვეძებ. მე მაინტერესებს ის, რომ უკრაინა, რომელიც გეოგრაფიულადაც კი ევროპაა, იმ არჩევანიდან, რაც მათ ხალხს აქვს, არსად არ წავიდეს. მაინტერესებს ის, რომ უკრაინა როგორიც იყო, ასევე დარჩეს საქართველოს პარტნიორად და მებრძოლად ევროპული არჩევანისთვის.

— **სოციალურ ქსელებში უკვე არის ტენდენცია, რომ საზოგადოება ორ ნაწილად არის გაყოფილი, „ნაციონალური“ მოძრაობის რადიკალურ მხარდამჭერებად და თქვენს მომხრეებად. სწორედ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი საზოგადოების კონსოლიდაციაზე, რომ არ დაუშვას არანაირი ექსცესები, ამას როგორ უზრუნველყოფთ?**

– მმართველი გუნდი არაფერს არ დაუპირისპირებს „ნაციონალურ მოძრაობას“, რადგან ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ეს არ არის ყველა ასეთ შეთქმულების თეორიაზე კომენტარი გავაკეთო.

— **ბაჩო ახალაიას მეუღლემ მანანა კობახიძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, რომელიც პარლამენტის ვიცე-სპიკერს ცილისწამებაში ადანაშაულებს. გივი თარგამაძე, რომელიც უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით დიდ სკანდალშია გარეული, დღეს ჭკუას გასწავლით და მორალს გიკითხავთ. არ აპირებთ რეაგირებას ამ ყველაფერზე?**



– ანი ნადარეიშვილი როდის ჩათვლის თავს შეურაცხყოფილად და როდის ვის უჩივლებს, ეს მისი არჩევანია და მისი საქმე. პროკურატურა ან დაუმტკიცებს დანაშაულს ბაჩო ახალაიას, ან ვერ დაუმტკიცებს, ეს არის პროკურატურის კომპეტენციის საკითხი, ამიტომ ანი ნადარეიშვილი რას გაა- მოძრაობის“ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომ არავისთვის აღარაფერი მაქვს დასამტკიცებელი.

— **თქვენ, გარდა იმისა, რომ დეპუტატი ხართ, ხართ ადამიანი, რომელმაც კარგად იცის სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულებიც. არ გიჩნდებათ პროტესტი, როდესაც 26 მაისის ავტორები ახლა მორალს**

ვიმეორებ, რომ არანაირი საფრთხე რაიმე შეთქმულებისა არ არსებობს და მე ახლა პირს ვერავის ავუკრავ. ერთია, აქვთ თუ არა მორალური უფლება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, ისაუბრონ უკრაინელ ხალხზე, როდესაც საკუთარ მოქალაქეებს არ ინდობდნენ და

კანონით არის სავალდებულო. არსებობს პროცესი და კანონი, რომლის დარღვევასაც ჩვენ არ ვაპირებთ, თუმცა როდის იქნება ეს კვოტები შევსებული, ამაზე ზუსტი პასუხი ჯერ არ მაქვს.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბადაშვილი სამართლიანობის დაცვას გვპირდება



საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც პირობას დებს, რომ მისი და უწყების თითოეული თანამშრომლის მუშაობა მიმართული იქნება საზოგადოების უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვისკენ.

„უპირველეს ყოვლისა, მსურს, მადლობა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს და იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს, იმ უდიდესი ნდობისთვის, რომელიც მათ გამომიცხადეს ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე დანიშვნით. ამავდროულად, სრულად ვაცნობიერებ იმ მაღალ მოთხოვნებსა და მოლოდინებს, რაც დღესდღეობით პროკურატურის მიმართ საზოგადოების მხრიდან არსებობს და მზადყოფნას გამოვთქვამ პროკურატურაში არსებული პროფესიონალი კადრების გვერდით დგომით, გავამართლო არსებული მოლოდინი.

საქართველოს პროკურატურამ ბოლო პერიოდში საკმაოდ რთული გზა გაიარა, თუმცა, არსებული რეალობის გათვალისწინებით, კვლავ საკმაოდ რთული გამოწვევების წინაშე დგას. ჩემი, როგორც მთავარი პროკურორისა და პროკურატურის თითოეული თანამშრომლის მუშაობა მიმართული იქნება საზოგადოების უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვისკენ, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პირობებში. ყურადღება უნდა მიექცეს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების სტანდარტების ამაღლებას და მტკიცებულებების მოპოვების გზების დახვეწას, რაც პროკურატურის წარმოებაში გახმაურებული საქმეების მრავლად არსებობის პირობებში, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იქნება. ასევე, უნდა ამაღლდეს თითოეული საქმის გამოძიებისას საპროკურორო ზედამხედველობისა და საპროცესო კონტროლის ხარისხი, რაც შემდგომში სასამართლო სტადიაზე მყარ საფუძველს შექმნის პროკურორების მხრიდან სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციურად განსახორციელებლად.

უმნიშვნელოვანესი იქნება ასევე, ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების მოძიება და გამოცდილი, კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. ვფიქრობ, რომ პროკურატურამ ყურადღება უნდა გაამახვილოს საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაზე და სხვა ქვეყნების პროკურატურების გამოცდილების გაზიარებაზე, რაც გაცილებით ეფექტურს გახდის ჩვენს საქმიანობას. ასევე, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად, გასამახვილებელია ყურადღება დანაშაულის პრევენციაზე, რისთვისაც პროკურატურა, ვფიქრობ, უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეეცადოს, განსაკუთრებით მოზარდ თაობაში აამაღლოს მართლწესრიგის შეგრძნება“, – განმარტავს მთავარი პროკურორი. (ინტერპრესნიუსი)

# რისთვის უჩივლა ბაჩო ახალაიას მეუღლემ მანანა კობახიძეს სასამართლოში?

**სიტუაციას ჰქვია, გაღმა შეედავე გამოღმა შეგრჩებაო. კერძოდ, საქმე ეხება შემდეგს: ბაჩო ახალაიას მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა და მისმა ადვოკატმა გოგა ონიანმა ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი შეიტანეს. ანი ნადარეიშვილი და გოგა ონიანი მანანა კობახიძეს ცილისწამებაში ადანაშაულებენ და სასამართლოს მისთვის სიმბოლურად 1 ლარის დაკისრებას სთხოვენ.**

**„ალია“ კომენტარისთვის უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს მანანა კობახიძეს დაუკავშირდა:**

– (ეცინება) მაჯარიმებენ? სარჩელის შეტანის უფლება ყველას აქვს, მაგრამ სხვაა, რამდენად აქვს ამას სამართლებრივი საფუძველი. მე რომ ახლა რამე ვთქვა, დამაბრალებენ, სასამართლოზე ზეწოლას ახდენსო. მაგრამ დამერწმუნეთ, აბსოლუტურად საფუძველს მოკლებულია ეს ინფორმაცია. წავიკითხავ, რას ეყრდნობა მათი განცხადება და ვუპასუხებ სამართლებრივად, თუმცა ვიცი, რომ კანონი ნამდვილად არ დამირღვევია. ჩემგან ბოდიშის მოხდას რომ ითხოვენ, ეს უხერხულია. ძალიან ცუდი რეალობაა და სულაც არ მსიამოვნებს ეს პროცედურა, მაგრამ რა ვქნა. ისე, თუ ვინმეს ამ ქვეყანაში ხალხის წინაშე ბოდიში აქვს მოსახდელი, ეს ის ხალხია, ვინც სააკაშვილის მთავრობასა და მის რეჟიმს ემსახურებოდა, მათ შორის არიან ახალაიები. მათ აქვთ ბოდიში მოსახდელი და თურმე აგერ თქვენგან გავიგე, რომ ჩემგან ითხოვენ ბოდიშს.

**— კიო, ცილი დაგვწამა კობახიძემო.**

– მესმის, ამ დროს ცილისწამებას ადგილი არ ჰქონია და რატომ უნდა მოვიხადო ბოდიში? ის ნამდვილად ვიცი, რომ არ მეცლება იმისთვის, პროცესებზე ვიარო და ამაზე დროსა და ენერგიას არ დავხარჯავ, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს, მაგრამ ადვოკატები ამ ადამიანებს გასცემენ პასუხს. ასეთი უსაფუძვლო სარჩელი ბევრი შეაქვთ და შეიტანონ, არ არის პრობლემა. ეს მათი უფლებაა და შეუძლიათ კიდევ მეორე და მესამე სარჩელი შეიტანონ. პასუხს გავცემ ყველას. შეგახსენებთ, რომ ეს პოლიტიკური დებატები იყო და მე ჩემი აზრი გამოვთქვი გოდერძი ჯოლოხავასთან დაკავშირებით, ეს ადამიანი ამბობს თვითონ, რომ ჩანაწერი არსებობს, სადაც თავად გოგა ონიანი უსვამდა კითხვებს და ამ მოწმემ ახსნა, რომ ეს იყო ზეწოლის ქვეშ გაკეთებული. ეს ინფორმაცია თავად მოწმემ გაავრცელა და იმ მედიასაშუალებამ, სადაც ეს ადამიანი იყო მიწვეული. ეს გამოძიებამ უნდა გამოარკვიოს, ხდებოდა თუ არა ზეწოლა და გამოარკვევს კიდეც. (ანუ, რა ინფორმაციებსაც ვუსმენდი, ის აღვნიშნე პოლიტიკურ დებატში და თუ ამით ცდილობენ, გადაფარონ თავად თემა, არ ვიცი. არა მგონია, ამან უშველოს.

**— ხელისუფლებაში რომ მოხვედით, „ალიას“ ჟურნალისტები სულ გაფრთხილებდნენ, რომ ახალაიას ვაშლის თემაზე კი არ უნდა მიდავებოდა ხელისუფლება, მას გაცილებით მეტი სხვა დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რაზეც წლების მანძილზე ვწერდით. ახლა თქვენც ხომ რწმუნდებით, რომ ე.წ. კოჰაბიტაცია დამღუპველი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, რომ ახლა უკვე აქეთ გიჩივით დამნაშავე მხარე?**

– ნებისმიერი ბრალდება, რაც არ უნდა წაუყენოს პროკურატურამ ახალაიას, ან სხვას, უნდა იყოს ძალიან მყარად დასაბუთებული, უტყუარი მტკიცებულებებით გამაგრებული და საქმე თავიდან ბოლომდე უნდა იყოს საფუძვლიანი, რომ ვინმეს კითხვის ნიშნები არ დარჩეს. ამაში პროკურატურის როლი არის ნამდვილად უდიდესი. კოჰაბიტაციამ ზოგადად მთელ ქვეყანას ზიანი რომ მიაყენა, ეს ფაქტია და ყველაფერზე აისახა. ეს მძიმე პერიოდი გავიარეთ და დარწმუნებული ვარ, ახლა უკვე პროცესები წავა კანონიერად და სამართლის ფარგლებში. ვინც დანაშაული ჩაიდინა, ის პასუხს აგებს, ვინც არ უნდა იყოს ის, ბაჩო ახალაია თუ მერაბიშვილი, ან თუნდაც ჩვენი ხელისუფლებიდან ნებისმიერი. რა ვქნათ, ასეთი მმართველობა ჰქონდათ მათ და ესეც ჩვენი ბრალია, ისინი კანონს რომ არღვევდნენ? ესეც „ქართული ოცნების“ ბრალია? ცხადია, ახალაიების ოჯახს არ მოსწონს ეს ამბავი, რომ განაჩენი ბაჩოზე დადგა და რომ კიდევ ახალი ბრალდებებია. რა ვქნათ, ეს მათ დაარღვიეს „ნაციონალების“ მმართველობის დროს კანონი. სხვანაირად, რაც მათ მიმართ საზოგადოებაში უარყოფითი მუხტი იყო, ჰაერიდან ხომ არ იყო მოტანილი? ეს მოიტანა უკანონობამ და მათმა სისასტიკემ და ჩვენზე რატომ ბრაზდებიან, არ მესმის. საკუთარ თავზე გაბრაზდნენ, საკუთარ თავზე! რატომ მართეს ქვეყანა ისე, რომ ამხელა აგრესია გამოიწვიეს. ეს იყო მათი კარგად გააზრებული, მაგრამ უკანონო მეთოდების ბრალი.

**— თქვენ მარტო ვიცე-სპიკერი არ ბრძანდებით, ყოფილი ადვოკატიც ხართ და თან დღევანდელ საქმეებში ასევე კარგად ჩახედული და რას უნდა ველოდეთ ამ უახლოეს ხანში? რა საქმეებს წამოსწევს პროკურატურა, ხომ ვერ გვეტყვით?**

– არ იქნება სწორი, მე ამაზე ვისაუბრო. თანაც როცა მმართველ გუნდში ხარ, არ იქნება სწორი, ასეთი საქმეები წინასწარ გავაჟღერო. ასეთი რამ პროკურატურამ უნდა ამცნოს საზოგადოებას, რომელ საქმეზე წაიწიეს წინ და რომელ საქმეზეა დასრულებული გამოძიება, რა გადავა სასამართლოში და ასე შემდეგ. იმედი მაქვს, რომ ახალი პროკურორის დანიშვნით, ბევრი საქმე წინ წავა ეფექტურად და დადგება ის შედეგები, რაც სამართლიანი იქნება და კანონის წინაშე პასუხს აგებს ის, ვინც უნდა აგოს. ანუ პროკურატურამ უნდა აწარმოოს საქმე კვალიფიციურად და ობიექტურად. ესაა ჩემი და საზოგადოების მოთხოვნა მათ მიმართ, ჩემი, როგორც ყოფილი ადვოკატის და იგივე, პოლიტიკოსის. ყველა ის საქმე უნდა იყოს გამოძიებული, რომელზეც კითხვის ნიშნები არსებობდა და დაწყებული იყო გამოძიება.



**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50

## ივანიშვილის პრემიერობისდროინდელი საჩუქრები მთავრობის კანცელარიაში განთავსდება

საჩუქრებს შორის არის რამდენიმე ფერწერული ტილო, 100-ზე მეტი წიგნი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ნაჩუქარი საათი, არაბთა გაერთიანებული საამიროების შეიხის ნაჩუქარი კერამიკული სპილოები, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულია. საჩუქრებს შორის არის კიმონო და ხმალიც, ასევე, დიდი აზერბაიჯანული ხალიჩა; ბელგიური ფაიფურის ჭიქების ნაკრები; 1 ცალი არაყი უკრაინული 4 ჭიქით და მუსიკალური ყუთით; შუააზიური ხალათი ქუდით და მათრახით; თექის ქუდი 1 კახური, 1 ხევსურული; კიევის „დინამოს“ მაისური; ებრაული მედალიონი; ჟილეტი ორნამენტებით; ბეწვის ხალიჩა; ხალათი ქუდით ლურჯი ფერის; ესპანური მედალიონი ჯვრის ფორმის ჯაჭვით; ვერცხლის ფიალა თეთრი სახლის გრავიურით; სომხური კონიაკი „არარატი“ 40-წლიანი დაძველებით; დიდი ნახატი ისრაელის ხედით; ხანჯალი სპილოს ძვლის ტარით; მედალიონი ჩარჩოში იერუსალიმის ხედით; ქვის მწვანე ლომი; შუშის თასი; ნახატი ანგელოზების (სამება); სამაგიდე საათი პატარა შუშაში ჩასმული; საბერძნეთის საპატრიარქოს მედალიონები; ქანდაკება ბიძინა ივანიშვილის გამოსახულებით; წმინდა გიორგისა და მაცხოვრის ხატი; თექის ხალიჩა მგლის გამოსახულებით; მაგიდის საათი ანტილოპების ქანდაკებებით; ხურჯინი ხელით ნაქსოვი ქართული ორნამენტებით; პატრიარქის ნაჩუქარი, ტროპარი „ოჯახის დალოცვა“; სომხური ხატი „მომლოცველი“; ტყავზე შესრულებული აფხაზეთის რუკა; მაცხოვრის ხატი ხელით მოქარგული; ოქროს საათი და ა.შ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობამ ოთხი ალტერნატიული წინადადება წარადგინა



„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით ოთხი ალტერნატიული წინადადება და შესაბამისი პროექტი წარადგინა.

„ეს ბოლო პერიოდში ყბადაღებულ და აქტუალურ თემას შეეხება, როცა საკრებულოს მიერ პირდაპირი წესით არჩეული მერებისა და გამგებლების გადაყენება ხდება შესაძლებელი. მიგვაჩნია, რომ კანონპროექტიდან შესაბამისი მუხლი ამოღებული უნდა იყოს. მეორე რიგში, გამოვყოფდით იმას, რომ, თუკი თვითმმართველობების განვითარებაზე ვსაუბრობთ, თვითმმართველობა იწყება სოფლებიდან, იმ მცირე ტერიტორიული ერთეულებიდან, რომლისგანაც ჩვენი ქვეყანა შედგება. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, სოფლის მცხოვრებლებისთვის მიგვეცა შესაძლებლობა, პირდაპირი წესით თავად აირჩიონ სოფლის რწმუნებულები. ეს ამ ადამიანების ინტერესშია. სოფლის მიერ პირდაპირი წესით არჩეული რწმუნებული იქნება პირი, რომელიც პირველ რიგში საკუთარი ამომრჩევლის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული“, – განაცხადა გიორგი თევდორაძემ.

კიდევ ერთი ალტერნატიული საკანონმდებლო წინადადება ეხება თვითმმართველი ქალაქების ცნების განსაზღვრის საკითხს. „ნაცმოძრაობის“ შეთავაზებაა, რომ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ყველა იმ ქალაქს მიენიჭოს, სადაც 10 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, უსამართლო იქნება, რომ, მაგალითად, 24-ათასიანი ზესტაფონი იყოს ამ სტატუსის გარეშე, ხოლო ქალაქს, რომელშიც 5 ათასამდე მოქალაქე ცხოვრობს, მაგრამ სამხარეო ცენტრია, თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ჰქონდეს“, – განაცხადა თევდორაძემ.

მათი ალტერნატიული საკანონმდებლო წინადადება იმაშიც მდგომარეობს, რომ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ. ეს უმცირესობის განმარტებით, ოპოზიციას საბჭოს საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. (ინტერპრესნიუსი)

## კოდექსით ჟორჟოლიანიც უკმაყოფილოა



პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ჟორჟოლიანი თვითმმართველობის კოდექსს აფასებს და აცხადებს, რომ კოდექსი „პირველი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია, რომელსაც შემდგომი განვითარება უნდა მოჰყვეს“.

„ეს არის გარკვეული ზღურბლი, მიჯნა, საიდანაც ჩვენ რეალური თვითმმართველობის რეფორმის განხორციელება უნდა დავიწყოთ. ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესი იქნება. ეს იქნება ამავე დროს ინტენსიური პროცესი. მაგრამ ეს არის ის აუცილებელი პროცესი, რომელიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ, თუ ჩვენ გვინდა, არსებული სუპერცენტრალიზებული მმართველობიდან ხელისუფლების ვერტიკალური დაყოფის მიმართულებით დაიწყოს სვლა, რაც რეალური დემოკრატიული მექანიზმების ამოქმედების წინაპირობაა. მსოფლიოს ისტორია და გამოცდილება გვეუბნება, რომ რეალური თვითმმართველობის არსებობის გარეშე, საზოგადოების, მოქალაქეების ჩართულობა და მონაწილეობა ქვეყნის მართვაში, გამორიცხულია“ – განაცხადა ჟორჟოლიანმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რაში არ დაეთანხმა მარგველაშვილი მიწვეულ „ენჯეოებს“?

23 იანვარს პრეზიდენტი მარგველაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა და ეს

**შეხვედრა საინტერესო იყოო, მარგველაშვილმა თქვა. საქმე ისაა, რომ უამრავი არასამთავრობო არ მიიწვიეს ამ შეხვედრაზე და თავისი პრეტენზია უკვე „ალიასთან“ საუბარში გამოთქვეს. მაგრამ ეს შემდეგ.**

**მანამდე მოდით, გავესაუბროთ „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღმასრულებელ დირექტორს თამარ გაბისონიას, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა და მისგან გავიგოთ, რა ხდებოდა შეხვედრაზე.**



თამარ გაბისონია

**— რა ხდებოდა შეხვედრაზე, კამათი იყო?**

– არა, ჩვენ ვსაუბრობდით, მარგველაშვილი გვისმენდა და შენიშვნებს იწერდა.

**— რამე კითხვას აუარა გვერდი?**

– საკმაოდ საინტერესო შეხვედრა იყო, ის თავის აზრსაც გამოსთქვამდა ამა თუ იმ საკითხზე და ცდილობდა, გამოენახა შესაძლებლობა, როგორ ჩართულიყო ამა თუ იმ პროცესში. რაღაცაში გვეთანხმებოდა და რაღაცაში – არა.

**— რაში არ დაგეთანხმათ?**

– არ ვიცი, დამეთანხმა თუ არა, მაგრამ მე წამოვაყენე საკითხი, როცა საუბარი იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე, მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებით. მან მოინიშნა ის წინადადება, რაც ჩვენ მივაწოდეთ. ესაა მოწმის დაკითხვის ახალი წესის შესახებ, რომ მხოლოდ სასამართლოზე უნდა დაიკითხოს. ის არ დაგვეთანხმა ასი პროცენტით ამ საკითხში და ამაზე გაიმართა მსჯელობა, რატომ მიგვაჩნია ჩვენ, რომ ეს საკითხი არის პრობლემური. ასევე, საუბარი იყო, ზოგადად, მართლმსაჯულებაში არსებულ პრობლემებზე და ესეც ასევე მოინიშნა. ანუ პრეზიდენტი უფრო გვისმენდა, ვიდრე გვეკამათებოდა.

**ლევან ჩიტაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წარმომადგენელი:**



– სამწუხაროდ, მრჩება შთაბეჭდილება, რომ, როგორც წინა პრეზიდენტი, ახლანდელი პრეზიდენტიც მხოლოდ ვიწრო არასამთავრობო სექტორთან არჩევს ურთიერთობას და იმავე ხალხთან ურთიერთობს, ვისთანაც ადრე სააკაშვილი ურთიერთობდა. ეს კი ზოგადად, ძალიან ცუდი და ნეგატიური პრობლემაა. მაშინ ჩვენ არ გვქონდა საშუალება კომუნიკაცია გვქონოდა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და გვესაუბრა და განგვეხილა საერთო პრობლემური საკითხები. მაშინაც იყო რამდენიმე „ენჯეო“, მათ შორის, გამოირჩეოდა ეკა გიგაური პიროვნულად, და უნდა გითხრათ, რომ პრეზიდენტთან შეხვედრისას სწორედ ხაზი გაესვა პიროვნულ ასპექტს და არა თავად ორგანიზაციებს. ეკა გიგაური პიროვნულად იყო ყოველი ხელისუფლების ფავორიტი, ამ დროს სხვა ადამიანებს არ ეძლევათ საშუალება, რომ ამდაგვარ ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა.

**— შეიძლება პრეზიდენტი თვლის, რომ მხოლოდ ეს „ენჯეოები“ არიან პროფესიონალები და ამიტომ მიიწვია ისინი?**

– კი, ეტყობა, სხვა უფლებადამცველებს არ აღიარებს და არ ცნობს პრეზიდენტი. ეს ძალიან ცუდია. რა, არც მუხაშავრიაა უფლებადამცველი და არც სხვა უამრავი ადამიანი? თუნდაც „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“? სხვა ახსნას ვერ ვუძებნი ამ შეხვედრის ორგანიზებას. თუ ეს ხალხი, იგივე ლომჯარია და გიგაური არიან ასევე მისი ფავორიტები, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, თუმცა, ჩემთვის ერთი რამ არის გაუგებარი: რატომ ხდება, რომ როგორც სააკაშვილი, ისე მარგველაშვილი, აფეტიშებენ ერთ, ან ორ არასამთავრობო ორგანიზაციას, ხაზს ვუსვამ გიგაურის პიროვნების შემთხვევას და სხვას არა?

**— შეხვედრის მონაწილემ მითხრა, რომ იქ კამათი არ ყოფილაო, პრეზიდენტი, უბრალოდ, გვისმენდაო.**

– ზუსტად ეს არის საინტერესო, რომ ჩვენ, და ძალიან ბევრ სხვა ორგანიზაციას გვაქვს შიდა კომუნიკაცია და გვაქვს საკმაოდ საინტერესო მოსაზრებები, როგორც ქვეყნის საზღვრების დემარკაციასთან დაკავშირებით, ისე სხვა საკითხებზე და გვაინტერესებდა, რას ფიქრობს ამაზე პირველი პირი. ასევე, გვაქვს მოსაზრებები დავით გარეჯის საკითხზე, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის მეორე პლანზეა გადასული და ნაკლებად მნიშვნელოვანია, სანამ ჩვენი მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეები არ შექმნიან იქ პრობლემებს ხელოვნურად, მაშინ ყველას ახსენდება გარეჯი. გადის დრო და ისევ ივიწყებენ. ამასთან დაკავშირებით გვაინტერესებდა, რომ პრეზიდენტი, რომელსაც ამდენი რესურსი და დრო აქვს, რას ფიქრობდა ის ამის შესახებ. მაგრამ ეტყობა, ჩვენი მოსმენა მას არ უნდოდა. უახლოეს დღეებში ჩვენ წერილებს გავუგზავნით პრეზიდენტს, სადაც ვთხოვთ მას შეხვედრას და ეგება, ერთხელ მაინც უახლესი ისტორიის განმავლობაში მოხდეს ისე, რომ საქართველოს პრეზიდენტი ორი არასამთავრობო ორგანიზაციის გარდა, შეხვდეს სხვა „ენჯეოებს“ და უფლებადამცველებს. რაღაც ისე გამომდის, მაგრამ ბატონ გიორგი მარგველაშვილს გავახსენებდი 9-წლიან მმართველობას, როცა ადამიანის უფლებები ირღვეოდა და ადამიანებს ქუჩაში აწამებდნენ, სამსახურებიდან ყრიდნენ პოლიტიკური შეხედულებების გამო, მაშინ ძალიან ბევრი უფლებადამცველი იბრძოდა ადამიანების უფლებების დასაცავად და ეს ხალხი არ იყო გაჩუმებული. ამათგან არც ერთი რატომ არ მოხვდა ამ შეხვედრაზე? სად იყო გიგაური? გიგაურს არასოდეს არ უსაუბრია პატიმრების წამებაზე და გაუპატიურებაზე. არჩევნების დროს დარღვევები რომ იყო, ლომჯარიას პროტესტი მე არ მახსოვს და რა ხდება? ვიმეორებ, ეტყობა, აქ მთავარ როლს პიროვნული სიმპათიები თამაშობს და ამაზე, ალბათ, თავად პრეზიდენტი გააკეთებს კომენტარს.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი ღარიბაშვილი TATA SONS LTD-ს ხელმძღვანელობას შეხვდა



**TATA** ჯგუფი მოიცავს 100-ზე მეტ ოპერატორ კომპანიას ბიზნესის 7 სექტორში: კომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები, საინჟინრო საქმიანობა, მასალები, მომსახურება, ენერგეტიკა, სამომხმარებლო პროდუქცია და ქიმიკატები. ჯგუფი მოქმედებს 100-ზე მეტ ქვეყანაში 6 კონტინენტზე. მისი კომპანიები ახორციელებს საქონლისა და მომსახურების ექსპორტს 150 ქვეყანაში.

„დღეისთვის **TATA** საქართველოში რამდენიმე პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა „აჭარისწყალი“. აჭარისწყალი წარმოადგენს სპეციალური დანიშნულების ერთეულს, რომელიც მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ჰიდრორესურსების ათვისების მიზნით შეიქმნა. აჭარისწყლის პროექტი წარმოადგენს კასკადური ჰიდრორესურსების პროექტს, რომელიც მდებარეობს მდინარე აჭარისწყალზე და მის შენაკადებზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ოთხი 400 მგვტ სიმძლავრის ელექტროსადგურის დამონტაჟება. აღნიშნულ პროექტზე **TATA** ჯგუფს უკვე დახარჯული აქვს 33.4 მლნ დოლარი“, – ნათქვამია პრემიერის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

## სტიქიით დაზარალებულებს ბინებს სხვა რეგიონებში სთავაზობენ



აჭარის მთავრობა სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს ბინებს სხვა რეგიონებში სთავაზობს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის კახეთში, სამეგრელოსა და იმერეთში 33 საცხოვრებელი სახლი შეიძინა.

სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს, რომლებსაც აღნიშნულ რეგიონებში განსახლების სურვილი აქვთ, 20 თებერვლის ჩათვლით, განცხადებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენელს უნდა მომართონ.

საცხოვრებელ სახლებთან ერთად სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს სარგებლობაში 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი და დამხმარე ნაგებობები გადაეცემათ. ოჯახების შერჩევა განხორციელდება კომისიის მიერ, შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. (ინტერპრესნიუსი)

# „მაგთისატმა“ 2 წლის იუბილე 100 000-ზე მეტი მომხმარებლითა და საკუთარი წარმოების 3 ახალი არხით აღნიშნა

## „მაგთისატი“ — უმოკლეს დროში მიღწეული უდიდესი წარმატება და შორსმიმავალი გეგმები

**კომპანია „მაგთიკომის“ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სიახლე — თანამგზავრული ტელემაუწყებლობის პირველი ოპერატორი „მაგთისატი“ — პოპულარული და მოთხოვნადი უმოკლეს დროში გახდა და, სულ რაღაც, 2 წლის მანძილზე მომხმარებელთა რაოდენობამ უკვე 100 ათასს გადააჭარბა.**

**2 წელიწადში ასეთი შედეგის დადება შესაძლოა, გასაკვირიც იყოს, მაგრამ ერთ დეტალს მიაქციეთ ყურადღება — „მაგთისატი“ მომხმარებელს „მაგთიკომის“ ხარისხით მიეწოდება და ამით ყველაფერი ნათქვამია!..**

22 იანვარს „მაგთისატმა“, რომელიც გახლავთ საქართველოში პირველი **DTH (direct-to-home)** ტელევიზიის თანამგზავრული პლატფორმა და რომელიც მაუწყებლობს **ASTRA**-ს თანამგზავრების მეშვეობით, 2 წლის იუბილე 100 000-ზე მეტი მომხმარებლითა და საკუთარი წარმოების 3 ახალი ციფრული სატელევიზიო არხით აღნიშნა.

სიურპრიზებით სავსე საზეიმო მიღებაზე კომპანია **SES**-მა (თანამგზავრული მაუწყებლობის წამყვანი ოპერატორი მსოფლიოში, **SES** ფლობს და **mar-Tavs ASTRA Satelite System-s)** და „მაგთიკომმა“ განაცხადეს, რომ 2 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც საქართველოში „მაგთისატის“ პირველი **DTH** პლატფორმის გაშვება მოხდა, მომსახურებით უკვე 100 000-ზე მეტი აბონენტი სარგებლობს და რაც მთავარია – მათი რიცხვი მუდმივად იზრდება. **მაგთისატი მაუწყებლობს ASTRA 1G თანამგზავრის მეშვეობით (ორბიტული მდებარეობა – აღმ.31.5).**

**ლევან ჩიტაძე**

2-წლიანი მართლაც წარმატებული მუშაობის აღსანიშნავად „მაგთისატმა“ 3 ახალი კინოარხი გაუშვა – „მაგთი ჰიტი“, „მაგთი კინო“ და „ჩვენი მაგთი“:

- „მაგთი ჰიტი" მაყურებელს სთავაზობს 21-ე საუკუნის ყველაზე პოპულარულ კინოჰიტებს ქართულ ენაზე;
- „მაგთი კინო“ წარმოადგენს ბოლო ოცწლეულის პოპულარულ და მაღალშემოსავლიან ფილმებს ასევე ქართულ ენაზე;
- „ჩვენი მაგთი" ქართული კინოს მოყვარულთათვისაა გამიზნული. მაყურებელი აქ იხილავს ქართული მხატვრული და დოკუმენტური კინოს შედევრებს.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით „მაგთისატი“ მომხმარებლებს სთავაზობს 100-ზე მეტ სტანდარტულ **(SD)** და 6 მაღალი გარჩევადობის **(HD)** არხს სხვადასხვა პაკეტის ფარგლებში.

**SES**-ის კუთვნილი **ASTRA**-ს მიერ მოწოდებული თანამგზავრული მაუწყებლობის საშუალებით „მაგთისატის“ მომსახურება მთელ საქართველოშია ხელმისაწვდომი, მაღალმთიანი რეგიონების ჩათვლით. ბაზარზე 2-წლიანმა მუშაობამ ქართველი მომხმარებლების მხრიდან სატელიტურ ტელემაუწყებლობაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება აჩვენა არა მარტო რეგიონებში, სადაც სხვა სატელეკომუნიკაციო ქსელების გაყვანა ეკონომიკურად და პრაქტიკულად გაუმართლებელია, არამედ დედაქალაქშიც კი, სადაც ციფრული სახმელეთო სატელევიზიო და **IPTV** გადაწყვეტილებებია წარმოდგენილი.



**ირაკლი ლობჟანიძე, „მაგთიკომის“ მარკეტინგის დირექტორი:**



– „მაგთისატი – ეს არის გამოსახულებისა და ხმის უმაღლესი ხარისხი, საქართველოს ტერიტორიის 100-პროცენტიანი დაფარვა, მრავალფეროვანი არხები და უკვე უნიკალური კონტენტი. ეს არის ის მთავარი კომპონენტები, რის გარეშეც „მაგთისატის“ წარმატება არ იქნებოდა ასეთი შთამბეჭდავი. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ 2013 წელს მომხმარებელთა რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა და „მაგთისატი“ საქართველოს ფასიანი ტელემაუწყებლობის ბაზრის ლიდერი გახდა. 2013 წლის არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „მაგთიკომის“ მიერ საკუთარი მიწისზედა თანამგზავრული სადგურის ამოქმედება, რომელმაც ახალი შესაძლებლობების ფართო სპექტრი გამოავლინა არა მარტო თავად „მაგთიკომისთვის“, არამედ კავკასიის რეგიონში სატელემაუწყებლო ბიზნესში მომუშავე ყველა კომპანიისთვის. დაბოლოს, 2013 წელს „მაგთიკომმა“ საზოგადოებას წარუდგინა სამი გასართობი არხი, რომელთა საშუალებითაც „მაგთისატის“ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, უყუროს ქართულ თუ უცხოურ კინოშედევრებსა და უბრალოდ, პოპულარულ კინო და დოკუმენტურ ფილმებს.

**გიორგი წიქარიშვილი, „მაგთისატის“ დეპარტამენტის დირექტორი:**

– 2 წლის იუბილეს მართლაც მნიშვნელოვანი შედეგებით შევხვდით. 2013 წლის აგვისტოში მივიღეთ საჭირო ლიცენზია და დეკემბრიდან უკვე გავუშვით სამი საკუთარი არხი: „ჩვენი მაგთი“, „მაგთი კინო“ და „მაგთი ჰიტი“. ანუ ახლა ვართ არა მარტო სატრანზიტო გამავრცელებელი, არამედ მაუწყებელი კომპანიაც. გვაქვს 100 პროცენტით ლეგალური კონტენტი, ხმისა და გამოსახულების უმაღლესი ხარისხი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მაგთისატი“ შედგა, როგორც წარმატებული პროექტი.

**ნორებერტ ჰელსლე, ევროპაში SES-ის უფროსი კომერციული დირექტორი:**

– მოხარული ვარ, რომ ჩვენმა იდეამ გაამართლა და 2 წელიწადში, მართლაც უმოკლეს დროში, ყველაზე წარმატებულ შედეგებს მივაღწიეთ. ჩვენი კომპანია მსოფლიოს 276 მილიონ ოჯახს 6 ათასზე მეტ არხს სთავაზობს. მომხმარებლიდან კი ასი ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქეები არიან.

სულ მალე 3.5 პოზიციაზე გექნებათ ახალი სადგური, 40 გადამცემითა და 800 არხის ტევადობით, ეს საკმაოდ გააფართოებს არსებულ თანამშრომლობას **SES**-სა და „მაგთიკომს“ შორის. გექნებათ საკუთარი სატელიტი და, შესაბამისად, ძალიან მცირე ზომის სატელიტური ანტენის საჭიროება. უკვე გაქვთ „აფლინგ“ სადგური“.

*მიხეილ სახვაძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კოჩალიძის ოჯახი ნივთების დაბრუნებას ითხოვს



ბათუმში მოკლული მარიამ კოჩალიძის ოჯახი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის, დავით მამისეიშვილის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც, ოჯახს გარდაცვლილის ნივთები არ დაუბრუნდება, ვიდრე მკვლელობაში ბრალდებულს არ დააპატიმრებენ.

„მამისეიშვილისგან ვითხოვ პასუხს, რატომ ჩაწერა სასამართლო განაჩენში, რომ მკვლელის დაჭერის შემდეგ დაგვიბრუნდება ნივთები. ყველამ ვიცით, რომ მარიამის მკვლელს ვერასდროს დაიჭერენ. ვითხოვთ, დაგვიბრუნდეს მარიამის ტელეფონი, ველოსიპედი, წიგნაკი, ტანსაცმელი და კომპიუტერი. ის, რომ მარიამის მკვლელობას დაარქვეს ყაჩაღობის ნიადაგზე მკვლელობა, ამაზე დავხუჭე თვალები იმიტომ, რომ სახელმწიფოსთან ბრძოლის ძალა არ შემწევს. ახლა კი მეუბნებიან, ნივთებს არ დაგიბრუნებთ, სანამ მკვლელს არ დავიჭერთო“, – აღნიშნა მარიამ კოჩალიძის დედა ნატალია კვინტრაძემ.

2013 წლის 16 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მარიამ კოჩალიძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული მოჰამმადამინ როოინტანი დაუსწრებლად დამნაშავედ ცნო და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოჰამმარამინ როოინტანი სარფის საბაჟო პუნქტის გავლით მკვლელობის დღეს, 2013 წლის 22 ივლისს თურქეთის რესპუბლიკაში გადავიდა და მისი ადგილსამყოფელი ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობია. (ინტერპრესნიუსი)

## ზუგდიდში მოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს



ზუგდიდში, ე.წ. სვანეთის კოშკის უბნის მოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ე.წ. სვანეთის კოშკის უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ავტოსადგური, რომელიც გადატანილი იქნა სხვა ტერიტორიაზე, რის გამოც მათ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო დაკარგეს.

მათი განცხადებით, შპს „ალიანსის“ ხელმძღვანელმა ვახტანგ აკობიამ თვითნებურად მოახდინა ავტოსადგურის მის ტერიტორიაზე გადატანა. თავად აკობია კი აცხადებს, რომ წლების განმავლობაში შპს „ალიანსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სადგური, რომელიც დაახლოებით 8 წლის წინათ უკანონოდ იქნა გაუქმებული, ახლა აღადგინა ნებართვა და კანონის სრული დაცვით მოხდა ავტოსადგურის გადატანა.

აქციის მონაწილეებმა გზის გადაკეტვა სცადეს, თუმცა პოლიციასთან მოლაპარაკების შემდეგ, გადაიფიქრეს. აქციის მონაწილეების თქმით, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ისინი აქციებს გამართავენ. (ინტერპრესნიუსი)

## ბიუჯეტი რიგგარეშე სხდომაზე არ განვიხილოთო

ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე მიიჩნევს, რომ თბილისის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების საკითხი რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში არ უნდა იყოს.

„ბიუჯეტის პროექტი შემოვიდა ვადების დარღვევით. 24 იანვარს არის ჩანიშნული საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. მე ვფიქრობ, სწორი არ იქნება, რომ რიგგარეშე სხდომაზე გამოტანილ იქნეს ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების საკითხი. შესწავლა და განხილვები მიმდინარეობს კომისიებსა და ფრაქციებში და არა მგონია, რომ ასე ნაუცბადევად დაიდოს დასკვნა ბიუჯეტის საკმაოდ სქელტანიან პროექტთან დაკავშირებით“, – განაცხადა გულიკო ზუმბაძემ.

ამასთანავე, მან თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებს ჩართულობისკენ მოუწოდა.

„დღევანდელი შექმნილი ვითარება დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით გამოწვეულია საბიუჯეტო პროცესებში საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობის არარსებობით. ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი განისაზღვრება გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მაჩვენებლით. სამწუხაროდ, დღემდე დედაქალაქის მთავარი დოკუმენტის მიღების გადაწყვეტილების პროცესში დარღვეულია ეს პრინციპები, რასაც ასევე ითვალისწინებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მეოთხე მუხლი. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია, მოვუწოდო არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაინტერესებულ პირებს, ექსპერტებს, აქტიურად ჩაერთონ თბილისის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში, დამტკიცებასა და შემდგომ უკვე შესრულების კონტროლის განხორციელებაში. (ინტერპრესნიუსი)



კახა კოჟორიძე

# ვინ ძლიერდება ახალი კოდექსით — მერი თუ საკრებულო?

**„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძე აცხადებს, რომ თვითმმართველობის კოდექსის მუხლი, რომელიც საკრებულოს არჩეული მერის გადაყენების უფლებას აძლევს უნდა გადაიხედოს.**

**დეტალების დასაზუსტებლად „ალია“ კახა კოჟორიძეს დაუკავშირდა:**

**— რატომ ითხოვთ ამ მუხლის გადახედვას, რა არგუმენტი გაქვთ?**

– თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც შემოთავაზებულია პროექტის სახით, თუ გახდება კანონი, მაშინ ეს დააკანონებს იმ იდეას, რაც კანონპროექტში არსებობს, კერძოდ ის, რომ მერი და გამგებელი აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით. პირდაპირი არჩევნების შემთხვევაში, თუ წარმომადგენლობით ორგანოს —საკრებულოს მაინც ექნება შესაძლებლობა, რომ დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გადააყენოს მერი, ეს ამ მერის თანამდებობრივ მდგრადობასა და მოქალაქეთა არჩევანის სტაბილურობას საფრთხის ქვეშ აყენებს. შესაძლოა, მათ მიეცეთ პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობაც. მერი შეიძლება იყოს მსხვერპლი, რადგან, პოლიტიკურმა ნებამ, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს დასაბუთებული, გადაწყვიტოს, რომ პირდაპირი წესით არჩეული მერი ან გამგებელი გადააყენოს საკრებულომ.

**— ჩვენ წინ გვქონდა მაგალითი, როცა უგულავა სასამართლომ გადააყენა ფულის გაფლანგვის გამო. თუ საკრებულომ დაინახა, რომ მერი არამიზნობრივად ხარჯავს ბიუჯეტის ფულს, რატომ არ უნდა გადააყენონ?**

– კონკრეტულ ადამიანებზე ვერ ვისაუბრებ, ვერ ვიტყვი, უგულავამ ფული გაფლანგა თუ არა, რადგან ეს იქნება ჩემი მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა. ყველა დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად უნდა დაისაჯოს, ამაში ორი აზრი არ არის, მაგრამ რაც შეეხება თქვენს კითხვას, ჩვენ ვამბობთ, რომ, თუ იარსებებს ეფექტური მექანიზმი ასეთი შემთხვევებისთვის, რომელიც ისედაც არსებობს კანონში, რომ იქნას დაწყებული გამოძიება და მერე სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, ძალიან კარგია. მეორე მხრივ, თუ ადამიანს ვერ დაუმტკიცებ იმ დანაშაულს, რასაც უყენებ ბრალდებად, შეიძლება სულ არ იყოს ფულის გამფლანგავი, მაგრამ უბრალოდ „არ გვინდა“ და მორჩა. მეორე უკიდურესობაში არ უნდა ჩავვარდეთ, თუ მერს ვინმე დაუმტკიცებს დანაშაულს, მაშინ არ არის საჭირო ამ უნდობლობის მექანიზმის შემოტანა, ის მაინც მიეცემა პასუხისგებაში და გადაყენებული იქნება თანამდებობიდან.

**— კარგით, არ გაფლანგა ფული, მაგრამ უუნაროა, არ მიკეთებს საქმეს, რატომ არ უნდა მქონდეს შესაძლებლობა, რომ გადავაყენო ან გამოვიწვიო? ამიტომ არის, რომ მაჟორიტარები არჩევნების შემდეგ ამომრჩევლებს აღარ უნახავთ რაიონებში.**

– სიმართლე გითხრათ, გამოწვევის მექანიზმზე ღრმად არ მიფიქრია, ამიტომ რასაც ახლა გეტყვით, შესაძლოა, ეს მოსაზრება არ იყოს ღრმად გააზრებული და შეიცვალოს, მაგრამ გამოწვევას აქვს თავისი ხარვეზები, რადგან მან შეიძლება შექმნას არასტაბილური გარემო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველმა არჩევანი გააკეთოს სწორად, მან თავიდანვე კარგად გაიაზროს, ვის ირჩევს და არ მიიღოს ემოციურ გრძნობებზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, არამედ იყოს დაფუძნებული პროგრამებზე და კანდიდატის წარსულზე, თუ არადა, მოითმინოს. ეს არის სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელი, რადგან ცუდ არჩევანთან შეგუება მოუწევს. ცუდი არჩევანი თუ გამოიხატა იმაში, რომ მისმა არჩეულმა კრიმინალი ჩაიდინა, მაშინ 5 წლის ლოდინი არაა საჭირო, უნდა დაიწყოს გამოძიება.

**გაითვალისწინებენ თუ არა არასამთავრობოთა პოზიციას კანონპროექტის ავტორები? დავით ლოსაბერიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე:**


დავით ლოსაბერიძე

**— ბატონო დავით, გაითვალისწინებთ არასამთავრობოთა მოსაზრებას, შეცვლით სადავო მუხლს?**

– თუ ამას ვინმე არაკანონიერად თვლის, გამოდის, რომ გერმანიაშიც არაკანონიერად იქცევიან. მე თუ მკითხავთ, ეს დიდად საჭირო მუხლი არ იყო, რადგან არის შიდაპოლიტიკური საკითხი. როცა საუბარი წამოვიდა პირდაპირ არჩევნებზე, დაბალანსების მექანიზმებს ვეძებდით. თუ მაინცდამაინც დაბალანსება იქნება საჭირო, საკრებულო არ დაუმტკიცებს მერს ბიუჯეტს და ამით მოთავდება ყველაფერი. ამითაც პირდაპირი მმართველობა შემოვიდოდა. მსგავსი პრეცედენტები დასავლეთ ევროპაში არსებობს, ოღონდ საფრთხეები იქაც არის და აქაც. მაგალითად, თუ მოვიდა პოპულისტი მერი, რომელმაც მოახერხა საზოგადოების მობილიზება და მერე თუ ისარგებლა ამ ძალაუფლებით და მეორეა, თუ საკრებულოში სხვა პარტიაა წარმოდგენილი და არ მოსწონთ მერი და დაიწყეს გადაყენების პროცედურა.

ორი რამ გავყოთ ერთმანეთისგან, ერთი – პოლიტიკური პროცესი და მეორე, კრიმინალი. თუ უგულავამ ქურდობა ჩაიდინა, საკრებულოს ვინ ჰკითხავს? მერებიც დაუჭერიათ, დეპუტატებიც და მინისტრებიც. აქ საუბარია იმაზე, რომ შენ, არჩეული მერი, კანონს კი არ არღვევ, არამედ სხვა პოლიტიკას ახორციელებ. მაგალითად, რომ გეუბნებიან, გავზარდოთ პენსიებიო, შენ ზრდი სტიპენდიებს. ასეთი რამ როცა ხდება, უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო ხდება უთანხმოება. დღეს არსებული სისტემა გულისხმობს ერთპარტიულობას და ერთი ძალის მმართველობას ყველა დონეზე. როგორც კი იქნება ანალოგიური პროცესი და მოვა ახალი პარტია, ან უნდა გადახვიდე იმ პარტიაში, ან წახვიდე სამსახურიდან. შეიძლება, უარესიც მოხდეს, უგულავა იყოს მერიაში, ლეიბორისტები – საკრებულოში და „ოცნება“ — პარლამენტში. კანონმა უნდა დაარეგულიროს ეს ურთიერთობები.

**— ამ ახალი კოდექსით, საკრებულოს უფრო დიდი ძალა აქვს, თუ მერიასა და გამგეობას?**

– ახლა ვმსჯელობთ მაგ თემაზე, ვინ იქნება უმაღლესი მმართველი. ვმსჯელობთ იმაზე, ვინ წარმოადგენს ქალაქს და ვინ იქნება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ცოფიანი საქონელი გაანადგურეს



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ცოფის შემთხვევების გამოვლენის გამო, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭიაურში მდებარე ფერმა და მისი მიმდებარე ტერიტორია არაკეთილსაიმედოდ გამოაცხადა და 2-თვიანი შეზღუდვა დააწესა.

სააგენტოს ცნობით, ცოფით დაავადებული სამი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაიკლა და დაიმარხა, რაც გამორიცხავს გავრცელებულ ინფორმაციას დაავადებული ხორცის რეალიზაციის შესახებ.

„იმუნობუფერული ზონის შექმნის მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოები ტარდება ბეშკენტის ტერიტორიაზე, 3 კმ-ის რადიუსში. დღევანდელი მონაცემებით, ვაქცინირებულია 420 ცხოველი. ვაქცინაცია კვლავ გრძელდება“, – აღნიშნავენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში. (ინტერპრესნიუსი)

## „ტელეარხ 25“-ის დამფუძნებელი ღარიბაშვილს მიმართავს

„ტელეარხ 25“-ის დამფუძნებელი და დირექტორი გიორგი სურმანიძე საქართველოს პროკურატურის ათამდე გამომძიებელსა და მაღალჩინოსანს ზეწოლაში ადანაშაულებს და ირაკლი ღარიბაშვილს საქმის პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს.

„ამა წლის 17 დეკემბერს მე, ტელეარხის დამფუძნებელი და მფლობელი ჯემალ ვერძაძე დაგვიბარეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სადაც, საღამოს მისულები, დილის ხუთ საათამდე გაგვაჩერეს, ყოველგვარი დაკითხვის, ოქმის გაფორმებისა და შესაბამისი პროცედურების გავლის გარეშე. მთელი ღამის განმავლობაში, ათამდე გამომძიებელი და მაღალჩინოსანი ჩვენზე ახდენდა ზეწოლას. ისინი ჩვენგან მოითხოვდნენ, დაგვედასტურებინა, თითქოს 2012 წლის 24 თებერვალს „ტელეარხ 25“-ის წილების გასხვისება მოხდა საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების პირველი პირების უშუალო მონაწილეობითა და ორგანიზებით. მოითხოვდნენ, რომ დაგვესახელებინა ზურაბ ადეიშვილის, დავით ჩხატარაშვილისა და ლაშა ნაცვლიშვილის გვარები, რომლებიც ე.წ. დანაშაულებრივი გარიგების ორგანიზატორებად და მფარველებად უნდა წარმოგვეჩინა. პროკურატურის თანამშრომლები გვემუქრებოდნენ, რომ თუ მათ დავალებას არ შევასრულებდით, ყველაფერს დავკარგავდით და მთელ ცხოვრებას ციხეში გაგვატარებინებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავი არ აგვირიდებია გამოძიებისთვის, პროკურატურამ რადიკალური ზომები მიიღო და 16 დეკემბრიდან აგვეკრძალა საქართველოს საზღვრების დატოვება, მაშინ როცა, გამოძიებისთვის ცნობილი იყო ჩემი საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლის აუცილებლობის შესახებ. 23 დეკემბერს დაგვიყადაღეს პირადი ქონება და ყველა საბანკო ანგარიში, სახელფასო ანგარიშების ჩათვლით. იმედი გვაქვს, დაინტერესდებით წინამდებარე წერილით და პირად კონტროლზე აიყვანთ აღნიშნულ საქმეს, რათა ჩვენი სახით, საქართველოში უსამართლობის მსხვერპლთა ახალი ჯგუფი არ გაჩნდეს. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

# რა საიდუმლო ინფორმაციას უმხელს მამუკა არეშიძე „ალიას“?



**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:**

**— ბატონო მამუკა, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით რა ახალ ინფორმაციას ფლობთ?**

– ექსკლუზიურად გეტყვით, მაქვს ინფორმაცია წყაროებიდან იმის თაობაზე, რომ მათთან საუბარი ჰქონდათ ამერიკის სპეცსამსახურის წარმომადგენლებს. რასაკვირველია, ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია, თუმცა ერთს გეტყვით, რომ ინფორმაცია, რომელიც მათ დასთან დაკავშირებით.

**— თქვენი ინფორმაციით, რატომ გაძლიერდა საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის მუშაობა?**

– ტერორიზმის საფრთხე არის ძალიან დიდი, შემიძლია, ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდოთ, ამ ინფორმაციას რუსული წყაროებიდან არ გამოუჟონია. კერძოდ, იგეგმება ტერორისტული აქტები არა სოჭში, არამედ მიმდებარე ქალაქებში. აი, ვთქვათ, როსტოვში. როგორც ვიცი, რუსეთის სპეცსამსახურებს მოუწია გადაწყობა და მთელი ძალები გადასროლილია სოჭში, საქართველოს პოზიცია გასაგებია, რადგან ნებისმიერი აქტივობა, რომელიც შეიძლება მოხდეს სამხრეთ კავკასიაში, შეიძლება დაჰბრალდეს ქართულ მხარეს.

– ასევე ირკვევა, რომ ამერიკელებს ჰქონდათ ინფორმაცია, რამაც აიძულა ასეთი ნაბიჯი გადაედგათ.

**— უკრაინის უშიშროების საბჭოს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი სკანდალურ განცხადებას აკეთებს და აცხადებს, რომ უკრაინის უშიშროების საბჭოში სხედან რუსეთის სპეცსამსახურები, ბერკუტელების“ ფორმაში გადაცმული არიან რუსები, რომლებიც ხოცავენ უკრაინელებს, ასე რომ უკრაინაში სამოქალაქო ომი კი არ მიდის, არამედ რუსეთი შემოიჭრაო. თუკი მსოფლიომ დაადასტურა, რომ რუსეთი ღიად იბრძვის უკრაინაში და ისინი ხოცავენ მომიტინგეებს, სოჭის ოლიმპიადა მაინც ჩატარდება?**

– ამის დადასტურებულად სისულელეს ლაპარაკობს ნუგზარ წიკლაური. წიკლაური არ ვიცი, მაგრამ მის ზოგიერთ მეგობარს შეუძლია თავისუფლად დაუკავშირდეს თავის რუს კოლეგებს და მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. რუსები კმაყოფილი არ არიან, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა. როგორც ჩანს, რუსებს ჰქონდათ მოლოდინი, ივანიშვილი სხვა ტიპის ნაბიჯებს გადადგამდა. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის – ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას მოსალოდნელ პროვოკაციებზე რუსეთის მხრიდან, ზუსტად არ ვიცი, რას გულისხმობს, თუ ღარიბაშვილმა პროვოკაციაში იგულისხმა საზღვრების გადმოწევა რუსეთის მხრიდან, ასეთი ტიპის პროვოკაციები, რა თქმა უნდა, არის მოსალოდნელი, რუსეთი საქართველოზე ზეწოლას რომ გააგრძელებს, ეს უცხო არავისთვის არ უნდა იყოს. ამ ზეწოლის ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე. უკრაინაში მარტო რუსეთი კი არ იბრძვის, არამედ იქ არის გაჩაღებული ბრძოლა დასავლეთსა და რუსეთს შორის. ორივე მხარე ყველა მეთოდს იყენებს მიზნის მისაღწევად.

**— ახლა კი დღის მთავარი ინფორმაცია, ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“. აღმასრულებელი დირექტორია გიორგი საბანაძე, ორგანიზაციის მიზნებია, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიულ, ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო კულტურულ განვითარებას, იზრუნოს საქართველოში დამოუკიდებელი და პასუხისმგებლიანი მედიის განვითარებისთვის. ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, შეიმუშაოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი აღდგენის კონცეფცია და ა.შ. ფიქრობთ, რომ ივანიშვილი ხელისუფლებას ოპოზიციაში ჩაუდგება და გააკრიტიკებს?**

– მე ვიცი, რომ დაახლოებით 7 მიმართულებით აპირებს ეს ორგანიზაცია მუშაობას, ვიცი, რომ ორგანიზაციას ეყოლება ექსპერტები სხვადასხვა დარგში, ისინი ხელფასს არ მიიღებენ, ამიტომ აქ მიიღეს, არის მნიშვნელოვანი და საინტერესო, მაგრამ ეს ინტერვიუს დონეზე გასაჟღერებელი ამბავი არ არის. ერთი რამ შემიძლია დავამატო, ფრანგ გამომძიებლებს, გარდა იმისა, რაც გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებამ, მათ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა ასევე ბულგარულმა მხარემ.

**— გამოდის, რომ „ნაციონალებისა“ და კეზერაშვილის ადვოკატების უარყოფა, რომ ის იარაღის უკანონო ვაჭრობის გამო არ არის დაკავებული, ტყუილია...**

– სულ მცირე, ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურები არიან დაინტერესებული კეზერაშვილის თემით, მათ აქვთ დასმული კითხვები, რაზეც პასუხები უნდა მიიღონ, მე აღარაფერს ვლაპარაკობ ფრანგებზე და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის წარმომადგენლებზე. ყველა კითხვა ეხება იარაღით უკანონო ვაჭრობას. ასე რომ, მის მიმართ ნამდვილად არის კითხვები, იარაღის კონტრაბანდის ბა მოხდეს სამხრეთ კავკასიაში...

**— კიევში მიმდინარე პროცესებმა გააჩინა ლეგიტიმური ეჭვი, რომ სოჭის ზამთრის ოლიმპიადა ჩაიშლება, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს არ მოხდება, რადგან სოჭის ოლიმპიადის ჩაშლა ტერორისტების გამარჯვების ტოლფასი იქნება და შესაძლოა, რეგიონში უკონტროლო ქაოსი დაიწყოს.**

– რასაკვირველია და სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა ამერიკელებისა და რუსების თანამშრომლობა, მე ვერ წარმომიდგენია, ამერიკის ტერიტორიაზე ტარდებოდეს ოლიმპიადა და იქ ღიად იყვნენ ჩართულები რუსეთის სპეცსამსახურები. ასევე, პორტში იდგეს ორი რუსული გემი. ამ შემთხვევაში რუსეთმა ამერიკელებს მისცა ამის უფლება, ეს ნიშნავს, ბევრად უფრო სერიოზული მიზეზია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. როგორც ჩანს, ტერორიზმის საფრთხეც ძალიან მაღალია, თქმა არავის შეუძლია, თუ როგორ ჩატარდება სოჭის ოლიმპიადა და როგორ განვითარდება მოვლენები. დაახლოებით 100 ათასი ადამიანია ორიენტირებული ოლიმპიური ობიექტების დაცვაში. მე როგორც მაქვს ინფორმაცია, სოჭი ოკუპირებულია, იმ დონეზეა გამკაცრებული უსაფრთხოების ზომები. ორი არმია იცავს (52-ე და 49-ე) სოჭის პერიმეტრს.

**— საქართველოს პრემიერი დავოსში უცხოურ მედიასთან აკეთებს განცხადებას, რომ რუსებისგან პროვოკაციას ახლაც და მომავალშიც მოელის, კონკრეტულად, რა ფორმის პროვოკაციებზე შეიძლება იყოს საუბარი? ამ განცხადების პარალელურად „ნაციონალი“ ნუგზარ წიკლაური აცხადებს: „უკრაინაში იანუკოვიჩის დამარცხება, ეს არის რუსეთის დამარცხება, რაც საქართველოში ბიძინა ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების დამარცხების დასაწყისი იქნებაო.**

– სამწუხაროდ, დიდ ცენტი კეთდება იმ ადამიანებზე, ვინც უკვე მუშაობს სხვაგან. სამწუხაროდ, პირადად ჩემთვის ცნობილი არ არის, რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს, ჩემთვის და ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო სოლიდარობისთვის“ არავის დაუძახია, ეს ორგანიზაცია ორიენტირებულია სამართლიანობის აღდგენაზე და მას არავინ დაუძახებს. რაც შეეხება ექსპერტთა გუნდს, ვიცი, რომ ივანიშვილმა ჩვენთან ურთიერთობა გაწყვიტა. ვიცი, რომ ამის ორგანიზებით დაკავებული იყო არჩილ კბილაშვილი, რამდენადაც ვიცი, მას არც ერთ ცნობილ ექსპერტთან კონტაქტი არ ჰქონია. შეიძლება ვილაცასთან ჰქონდა, მაგრამ, უბრალოდ, მე არ ვიცი.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

## იაკობაშვილმა კეზერაშვილისგან აქტივები შეიძინა



ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის განცხადებით, დავით კეზერაშვილისგან აქტივების შეძენა 2012 წლის მაისში დაიწყო და საპარლამენტო არჩევნების შემდგომ დაასრულა.

„როდესაც საუბარი იყო რიყეზე სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე, დავთანხმდი. ეს უფრო სოციალური ნაბიჯი იყო ჩემთვის. 2008 წელს, როდესაც ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, მივიღეთ გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების თაობაზე და პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლეს. სწორედ მაშინ გავიცანი ბატონი კეზერაშვილი. ნორმალური, წარმომადგენლობითი ადამიანი, მაშინ ხელისუფლებაში აღარ იყო. მან შემომთავაზა ის ბიზნესი, რომელიც მაინტერესებს. პირობა იყო საკმაოდ მცირე ინვესტიციის ჩადება აქტივების შემდგომი გამოსყიდვით. მას ბიზნესიდან გასვლის სურვილი ჰქონდა. ჩვენ შევთანხმდით, რომ პოლიტიკურ ინტრიგებში არ ჩავერთვებოდით. მან ყველა პირობა შეასრულა. აქტივების გადაცემა 2012 წლის მაისში დაიწყო და ეს პროცესი უკვე მთლიანობაში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დასრულდა. ჩემი ბიოგრაფია საკმაოდ სუფთაა, არსად ნორმალურ ბიზნესში არ მიმიღებდნენ, თუ რაიმე კავშირი იარაღის ვაჭრობასთან ან ნარკოტიკებთან მექნებოდა. ვფიქრობ, ეს პოლიტიკური თამაშებია. კეზერაშვილი პატიმრობაშია და მას არ შეუძლია, ბრალდებებს უპასუხოს. ვფიქრობ, ყველაფერი გაირკვევა“, – განაცხადა იაკობაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე განცხადება მიიღო



საქართველოს პარლამენტმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე კიდევ ერთი განცხადება მიიღო. განცხადებაში, რომელიც პარლამენტმა 118 ხმით, ერთხმად მიიღო, ნათქვამია:

„საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს ბოლო დღეებში უკრაინაში განვითარებული მოვლენებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამო, რამაც ადამიანების დაღუპვა და ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. ჩვენ მწუხარებას გამოვთქვამთ და ვუსამძიმრებთ უკრაინელ ხალხს. საქართველოს პარლამენტი გმობს ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებასა და ვითარების ესკალაციას, რამაც შესაძლებელია, ქვეყანა ფართომასშტაბიან სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანოს. საქართველოს პარლამენტი იზიარებს ევროპის კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაკეთებული განცხადების სულისკვეთებას და მიაჩნია, რომ ძალის გამოყენება და დაძაბულობის ზრდა ქვეყანას ვერ გამოიყვანს პოლიტიკური კრიზისიდან.

ჩვენ მოვუწოდებთ ორივე მხარეს, დიალოგის გზით მონახონ გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან. საქართველოს პარლამენტი სრულ სოლიდარობას უცხადებს უკრაინელი ხალხის მისწრაფებას, გახდეს თავისუფლებაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე დამყარებული ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და დარწმუნებულია, რომ რუსეთი ასოცირების შეთანხმებაზე უარის თქმის იძულების გზით, ვერც უკრაინასა და ვერც საქართველოს ვერ შეაცვლევინებს ევროპულ არჩევანს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## თბილისის აეროპორტისთვის გამსახურდიას სახელის მინიჭებაზე იმსჯელებენ



თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია 24 იანვარს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხზე საბოლოოდ იმსჯელებს.

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ცნობით, აღნიშნული საკითხის განხილვა დედაქალაქის საკრებულოში ოთხჯერ გადაიდო – ხან პრეზიდენტის არჩევნების და ხანაც სხვა მიზეზების გამო.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით პარტიამ საკრებულოს რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ როგორც პარტიაში აცხადებენ, ვერც „ნაციონალური მოძრაობის“ და ვერც „ქართული ოცნების“ პირობებში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა. (ინტერპრესნიუსი)



# ექსპერტი



# სოსო ცინცაძე ივანიშვილზე, მარგველაშვილსა და ხადურზე...

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ დააფუძნა. ის ორგანიზაციას თავად უხელმძღვანელებს. მართალია, ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ არის, მაგრამ მაინც საინტერესოა, „გაკრეფს“ თუ არა შუას ივანიშვილი არასამთავრობო სექტორშიც? 23 იანვარს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები პრეზიდენტ მარგველაშვილს შეხვდნენ. წავა თუ არა ის რისკზე და გაითვალისწინებს თუ არა არასამთავრობოების მოთხოვნებს?

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– მე მიყვარს ხოლმე ისტორიული პარალელების გავლება... მაგალითად, დე გოლისთვის არც შინაური არსებობდა და არც გარეული. ახლა ბიძინა ივანიშვილს უნდა ეყოს ობიექტურობა და გამოავლინოს მიუკერძოებლობის მაღალი სტანდარტი, რაც ქართულ რეალობაში უცხო ხილია. ჩვენ ბიძინა ივანიშვილმა დაგვიმტკიცა, რომ თურმე შეიძლება არჩევნების მოგება, შეიძლება სააკაშვილის დამარცხება. ახლა უნდა დაგვიმტკიცოს, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა, მან მწვავე ქარცეცხლში გაატაროს თავის მიერ დანიშნული მთავრობა, თავისი დანიშნული პრეზიდენტი. ეს უნდა იყოს კიდევ ერთი სიურპრიზი. ამას შეძლებს თუ არა, ეს ძალიან ძნელი სათქმელია.

**— ბატონო სოსო, დღეს საქართველოში არასამთავრობოების ნაწილს უკავია თავისი ნიშა სფეროების მიხედვით. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტები იურიდიული თვალსაზრისით აკონტროლებენ ხელისუფლებას, ნანა კაკაბაძე პატიმრების თემაზე მუშაობს და ა.შ. ივანიშვილმა რა ნიშა უნდა მოძებნოს?**

– მე ახალგაზრდა იურისტების გაკონტროლებული არაფერი მინახავს, ეგენი ხელისუფლებას აკრიტიკებენ. არის საფრთხე, რომ ივანიშვილის არასამთავრობო გახდეს საქართველოში სუპერორგანიზაცია, რომელიც მონოპოლისტი გახდება ამ სფეროში, მაგრამ აქ მაინც საჭიროა ტაქტი და ზომიერება. შეიძლება ივანიშვილს მონოპოლისტობა არც უნდოდეს, მაგრამ ქართველ საზოგადოებას ვერ აიძულებ, ნანა კაკაბაძისა და ივანიშვილის სიტყვები ერთნაირად მიიღოს. ივანიშვილი იტყვის რაღაცას? ესე იგი, ეს მთავრობისთვის უკვე კანონი იქნება. აბა, წარმოიდგინე, დღეს რომელიმე მინისტრს შეუძლია, ბიძინას სიტყვას ხელი აუქნიოს? რაც არ უნდა იყოს, ეს მთავრობა მაინც ივანიშვილის ჩრდილში იქნება. თუნდაც პარლამენტი ავიღოთ... დეპუტატი, რომელიც იძახის, რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, ივანიშვილი გენიოსიაო, ის ყოველთვის იქნება გავლენის ქვეშ. კი, ბატონო, ბიძინა დაჩვეულია შეუძლებელ ამოცანებთან ჭიდილს, თავის დროზე, ჩვენ კი არა, ამერიკელებსაც არ სჯეროდათ, სააკაშვილს თუ დაამარცხებდა. თუმცა ამ შემთხვევაში ძალიან რთული ამოცანის შესრულება მოუწევს, მენტალობა უნდა შეიცვალოს. მერე, ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, ვის მიიყვანს თავის „მოქალაქეში“ ივანიშვილი. თუ ის ხალხი მიიყვანა, პოლიტიკაში მოსვლამდე რომ ჰყავდა, ვისთვისაც თვითონ ღმერთია, მაშინ არ გამოვრიცხავ, ეს კვაზი არასამთავრობო იყოს. ერთხელ თქვა, მე მიყვარს, როცა მეწინააღმდეგებიან და მეკამათებიანო, მაგრამ საკუთარ თავზე გამოვცადე, რომ ასე არ ყოფილა... როცა გავაკრიტიკე, ისე ეწყინა, ერთი სულელი არ მიწოდა, დანარჩენი ყველაფერი მაკადრა.

**— არასამთავრობოები შეხვდნენ მარგველაშვილს და როგორც გავიგე, ისინი დაჟინებით ითხოვენ, არჩეული მერების საკითხს ვეტო დაადოს. ალბათ, იცით, რომ ახალი კოდექსის მიხედვით, არჩეული მერების გადაყენება საკრებულოებს შეუძლიათ.**

– თუ როგორ შეუძლია, საკრებულომ თავი გადაიღებოს და გუშინდელი სავლე დღეს პავლედ იქცეს, ამას ჩვენ თბილისის საკრებულოს მაგალითზე ვხედავთ. ეს მაგალითი არის არასამთავრობოებისთვის ყველაზე ძლიერი არგუმენტი. როგორ შეიძლება, საკრებულოს მივცეთ უფლება, დავუშვათ, ათასობით ადამიანის მიერ არჩეული მერი გადაირჩიოს? კი, ბატონო, იმპიჩმენტი სხვა რამეა და ეს პროცედურა უნდა ჩაიდოს კოდექსში. მე არ ვიცი, შეიძლება მარგველაშვილმა ვეტო დაადოს და ამით დაამტკიცოს, რომ მარტო საქორწილო გენერალი არ არის, მაგრამ მეეჭვება.

**— ვითომ გაბედავს?**

– ჩემი აზრით, ვერ გაბედავს... თუ გაბედა, ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ხელისუფლებაში მიიღებენ გადაწყვეტილებას: მოდით, რა, ხალხს ვაჩვენოთ, რომ ეს მართლაც პრეზიდენტიაო.

**— სხვათა შორის, მარგველაშვილი მას შემდეგ გააქტიურდა, როცა საზოგადოებაში გაჩნდა უკმაყოფილება, რომ ის მხოლოდ ყავის დასალევად გახდა პრეზიდენტი და ხალხს ემალება. თქვენც ასეთი შთაბეჭდილება გრჩებათ?**

– კი, ასეთი შთაბეჭდილება მრჩება... მეტსაც გეტყვი, თუ ახლა მაგან საკითხს ვეტო დაადო, გამოვა, რომ ნარმანიას დაადო. ამ კოდექსს შორსმავალი შედეგები ექნება. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ მთავრობას უკვე აღარ აწყობს ნარმანიაზე ფსონის დადება და ეძებს რაღაც ლამაზ მიზეზს. ისე, შეიძლებოდა, მარგველაშვილი პრეზიდენტი გამხდარიყო, მაგრამ ნარმანია – თბილისის მერი? მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ის თბილისელი არ არის, ეს ზღაპრებია. თბილისელი ერთი ხოხობი იყო და ისიც გორგასალმა მოკლა. უბრალოდ, ნარმანიას არავითარი მონაცემები არ გააჩნია.

**— ეგ არავინ იცის, შეიძლება მერე გამოიჩინოს თავი... ბატონო სოსო, რას იტყვით ნოდარ ხადურის მოღვაწეობაზე, რომელიც ყოველდღე ლარის გამყარებას გვპირდება, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდის?**

– აგერ, ახლა ვნახე, „გუდვილში“ ხორცი 12 ლარი ღირდა, 17 ლარი გახდა. მე არ ვიცი, ხადური დადის თუ არა ბაზარში, მაგრამ მე ყოველდღე დავდივარ და ვიცი, რაც ხდება. მარტო ამ ერთ თვეში პროდუქტები დაძვირდა 30 პროცენტით. მე არა ვარ ეკონომისტი, სიტუაციას ვზომავ ჩემი ჯიბით და მაცივრით. ჩემი მაცივარი მეუბნება, რომ ლარის კურსი სადღაც გარბის და ძალა აღარ აქვს, ლარს „ერხევა“. ახლა ხადურმა რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს, მისი არ მჯერა. მე რომ დღეს ექსპერტებს ვუსმენ, საიმედო პროგნოზებს არ აკეთებენ, დაუჯდეს იგივე ხადური პროფესიონალ ეკონომისტებს და იმათ ელაპარაკოს, მერე ჩვენ მოგვასმენინონ ტელევიზორში, აქ მე რას მიხსნის ყოველდღე, ლარი გამყარდებაო? ხალხი ზარალდება... მაშინ ხელფასები უნდა გაზარდონ, მაგრამ ესეც არ გამოვა, უარეს შედეგს მივიღებთ, მეტი ქაღალდი გავა ბაზარზე და ლარის კურსი უფრო დაეცემა. აქ სხვა მექანიზმებია მოსაძებნი და ხადური სწორედ მაგისთვის დანიშნეს მინისტრად. თუ საქმეს ვერ აკეთებს, წავიდეს და სხვა გააკეთებს.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ავსტრიელი ბიზნესმენები საქართველოში ინვესტირებით დაინტერესდნენ



საპარტნიორო ფონდის ცნობით, ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი კოვზანაძე ავსტრიელ ბიზნესმენებს შეხვდა და ფონდის პრიორიტეტული სექტორები გააცნო.

„ჩვენი ინტერესის სფერო სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და ინფრასტრუქტურის გარდა, ენერგეტიკაც არის. ამ სფეროში ჩვენ რამდენიმე მსხვილი პროექტის განხორციელებაზე ვმუშაობთ. მათ შორისაა 210-მეგავატიანი ნენსკრას, 270-მეგავატიანი ონისა და 230-მეგავატიანი გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტები“, – აღნიშნა ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ნათია თურნავამ.

ავსტრიელი ბიზნესმენების თქმით, მათ საქართველოში 10-30-მეგავატიანი ჰიდროენერგოპროექტების განხორციელება აინტერესებთ. (ინტერპრესნიუსი)

## ზუმბაძე შიხიაშვილს ღია წერილით მიმართავს



საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილს საკრებულოს საიტზე თბილისის ბიუჯეტის პროექტის ელექტრონული ვერსიის განთავსებას სთავაზობს.

„ბატონო ირაკლი, კარგად მოგეხსენებათ, რომ თბილისის თვითმმართველობაში დღემდე არ არსებობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის პოლიტიკური ნება და მექანიზმები.

ზოგადი დემოკრატიის პრინციპებისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიმაჩნია ქ. თბილისის საკრებულოს საიტზე განთავსდეს თბილისის ბიუჯეტის პროექტის ელექტრონული ვერსია. განისაზღვროს საჯარო მოსმენებისა და რეკომენდაციების შემოსვლის ვადები.

ჩვენს ხელთ არსებული მცირე დროის მიუხედავად, აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს პროცესების კიდევ უფრო გამჭვირვალობასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებას. შეიქმნება მნიშვნელოვანი საფუძველი, შემდგომში უკვე ბიუჯეტის შესრულებაზე ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისთვის.

ახალ პოლიტიკურ ვითარებაში, საკრებულოს მხრიდან გადადგმული ღირსეული, სამართლიანი ნაბიჯი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოში ჯერ კიდევ დაუმკვიდრებელი ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროცესში“, – ნათქვამია წერილში. (ინტერპრესნიუსი)

# ექსკლუზივი

**რატომ ინარჩუნებენ დღემდე „ნაციონალები“ წამყვან პოზიციებს საელჩოებში? რატომ არ ინტერესდება ამით საგარეო საქმეთა მინისტრი? რატომ უნდა განთავისუფლდნენ უცხოეთის საელჩოებიდან, პირველ რიგში, დამლაგებლები და მძღოლები?**

**ამ საკითხებზე „ალიას“ პორტუგალიაში ქართული დიასპორის ხელმძღვანელი და „ქართული ოცნების“ პირველი**

# რატომ ჩამოიხრჩო თავი საქართველოს საელჩოს მძღოლმა?

**შტაბის შემქმნელი ირაკლი ბარამიძე ესაუბრა:**

**— ბატონო ირაკლი, როგორც ვიცი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართეთ პორტუგალიაში საქართველოს ელჩის მოხსნის თხოვნით. რას ერჩით, რატომ ითხოვთ მის მოხსნას?**

– 2010 წლიდან პორტუგალიის საელჩო და ელჩი გოგა გორგილაძე ვერ ახერხებს საქართველოს მოქალაქეების დაცვას. ერთი მაგალითი, ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ საელჩომ საქართველოს რომელიმე მოქალაქის დაცვა მოახერხა. მაგალითსაც მოგიყვებით. გააჩერეს საელჩოს მანქანა, მოგეხსნებათ, დიპლომატიურნომრიან მანქანას იმუნიტეტი იცავს. მძღოლი ნასვამი იყო და პოლიციასთან შელაპარაკება მოუვიდა. საელჩომ რომ ვერ მოახერხა მძღოლის დაცვა, მარტივი გამოსავალი იპოვა და გაათავისუფლა სამსახურიდან. მიუსაჯეს 5 წელი. 6 იანვარს გადაწყდა, რომ ეს ადამიანი ექსტრადირებული უნდა ყოფილიყო საქართველოში. დარწმუნებული ვარ, საელჩოს 6 იანვრამდე არ მოუკითხავს ეს ადამიანი. პროცედურები დასრულდა, დოკუმენტები გადაიგზავნა და 6 იანვარს ეს ადამიანი აეროპორტის სადეპორტოში, სადაც უნდა ჩაესვათ თვითმფრინავში, ჩამომხრჩვალი იპოვეს.

**— თავი რატომ მოიკლა, ხომ არ გაგირკვევიათ?**

– ამ ადამიანის მეგობრებმა და ახლობლებმა მითხრეს, არანაირი საფუძველი მას თავის ჩამოხრჩობის არ ჰქონდაო. მე მაქვს ეჭვი, რომ ეს ადამიანი ან მოკლულია იქ პატიმრების მიერ, ან ისეთი რამ მოხდა, რასაც პოლიცია მალავდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სანამ ჩემი მეგობარი პორტუგალიელი ადვოკატი არ მივიდა პოლიციაში და ოფიციალურად არ გააკეთა განაცხადი, არ უთხრეს, რომ ეს მძღოლი 21 იანვარს ნახეს ჩამომხრჩვალი. 6 იანვარს ჩამომხრჩვალ ადამიანზე 21-ში თქვეს, გარდაიცვალაო. ამის შემდეგ გარდაცვალების ფაქტს იგებს საქართველოს საელჩო ჩვენგან და იმის მაგივრად, რომ ელჩმა რაიმე მწუხარება გამოთქვას, ამბობს, ამ მძღოლს ინტერპოლი ეძებდა და თავი ამიტომ მოიკლაო.

**— როგორ ფიქრობ, რატომ ინარჩუნებს ეს ადამიანი დღემდე ამ თანამდებობას?**

– არაერთხელ მივმართე საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ ადამიანის შესახებ და ვწერდი მიზეზს, რატომ უნდა გადამდგარიყო თანამდებობიდან ეს ადამიანი, ელჩის მოვალეობაა საკუთარი მოქალაქეების დაცვა, მაგრამ, ამ მხრივ, არაფერი გაუკეთებია. პირადადაც კი შევხვდი მაია ფანჯიკიძეს, ვესაუბრე, ვთხოვე, კეთილსინდისიერი ადამიანი არ არის ეს გორგილაძე, საელჩო ქმედითუუნაროა და გადააყენე-მეთქი.

**— რა გიპასუხათ?**

– თავს არიდებს კონკრეტულ პასუხს და ამბობს, ცოტა დრო დარჩა ისედაცო. გავითვალისწინე, რომ ამ ადამიანს უწევდა როტაცია და ვიფიქრე, რომ ფანჯიკიძე ამას ელოდებოდა, მაგრამ დღეს ამაზე გაჩერება და თვალის დახუჭვა შეუძლებელია. პორტუგალიაში ჩვენი მეგობრები, დები, დედები ცხოვრობენ და მათზე ყოველდღიურად აისახება გორგილაძის თავნებობები.

**— პირად საუბარში მითხარით, გორგილაძე „ნაციონალების“ საქმეს აკეთებდა პორტუგალიაშიო. კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს საქმის კეთება?**

– „ნაციონალებმა“ დასვეს ეს ელჩი, რომელიც გამოდგა უუნარო და არაფრის მაქნისი, სამაგიეროდ, ის იყო სააკაშვილის პროტოკოლის უფროსი, მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელმაც მთელი პროტოკოლის სამსახური წამოიყვანა პორტუგალიაში და აქეთ დამიწყო ბრძოლა.

**— რატომ გებრძოდნენ?**

– „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს არ მარეგისტრირებინებდნენ. ამ ადამიანებს ხელის შეშლის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. ამათ გამო ჩვენ ვერ მივიღეთ ვერც გაეროში პორტუგალიის მხარდაჭერა, ვერც ევროსაბჭოს რეზოლუციაში, მხოლოდ ჩვენს ნატოში გაწევრიანებას მიესალმა, ამდენი მოვახერხეთ. საელჩო სრულად არის ჩავარდნილი. მიზეზების შესახებ ღარიბაშვილიც საქმის კურსშია და ფანჯიკიძეც.

**— ბევრ საელჩოშია ანალოგიური ვითარება, სავსეა ძველი კადრებით...**

– პირველ რიგში, ყველა ახალ კონსულსა და ელჩს ვურჩევ და მოვუწოდებ, გაათავისუფლონ მძღოლები და დამლაგებლები. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც წლების მანძილზე ემსახურებოდნენ „ნაციონალების“ რეჟიმს. ეს დამლაგებლები არიან ის ადამიანები, რომელთაც აქვთ ელჩზე მეტი ინფორმაცია, ხედავდნენ ბევრ რამეს და ექნებათ მოტივი, კავშირი გააგრძელონ ძველ ელჩებთან. ყველას მოგიწოდებთ, ელჩებო, რადგან ეს ის ხალხია, არჩევნების დროს „ნაციონალებზე“ რომ მუშაობდნენ, ემიგრანტ ქართველებს სააკაშვილისთვის ხმის მიცემას სთხოვდნენ, არალეგალებს დაჭერით ემუქრებოდნენ, თუ „ნაციონალებს“ ხმას არ მისცემდნენ. ეს კატეგორიაა, რომელიც ყველა ახალმა ელჩმა უნდა გაათავისუფლოს, თორემ დაიღუპებიან. ვინმემ იცის, რა ინფორმაციებს აწვდიან საელჩოებიდან „ნაციონალებს“ და მათგან რა დავალებებს იღებენ?

**— ახალ ელჩებზე რას იტყვით?**

– კარგს ვერაფერს, ჩვენ გვყავს ერთი ელჩი, პატარიძე, რომელიც ახლა ყაზახეთის ელჩია და რომელიც „ზონდერობდა“ „ნაციონალების“ სახელით. თურქეთში იყო კონსული, „ზონდერობდა“ საკუთარ ხალხზე, ამოჰყავდა ხალხი გენერალურ საკონსულოში, აშინებდა და ემუქრებოდა. ეს ადამიანი კი არ მოხსნეს, პირიქით, დააწინაურეს. არის კიდევ ერთი ელჩი, გოჩა ჯავახიშვილი, რომელიც საფრანგეთის საელჩოში დესპანია. ეს ის ადამიანია, უტა ივანიშვილმა რომ „ოცნების“ მაისური ჩაიცვა და ერთი ამბავი ატეხა, ლამის საფრანგეთში საარჩევნო უბანი დახურეს. აი, ეს ადამიანები შეადგენენ დღეს ქართულ დიპლომატიას. თავად საგარეო საქმეთა სამინისტროშიც ბევრი არავინ განთავისუფლებულა და ისევ ძველი კადრებითაა სავსე. იქ არის მთავარი „ზონდერი“, გელა ბუკია, რომელიც მთავარი ფინანსისტია. მან მოტყუებით გამახსნევინა საელჩო პორტუგალიაში ჩემი სახსრებით და მერე არ ამინაზღაურა. ვთხოვ ფანჯიკიძეს, კადრებს გადახედოს.



ირაკლი ბარამიძე

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უსუფაშვილი უკრაინის ხელისუფლებასა და ოპოზიციას მოუწოდებს




საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უკრაინის ხელისუფლებასა და ოპოზიციას მოუწოდებს, საკითხები ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყვიტონ და არა რომელიმე ქვეყნის რჩევით ან კარნახით.

„ჩვენი პოზიცია, რომელიც არაერთხელ იქნა გამოხატული, არის სრულიად ცალსახა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებების, სიცოცხლის დაცვაზე კონსტიტუციის ფარგლებში პროცესების განვითარებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას“, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

მისი თქმით, ყველა ხელისუფლება არჩეულია იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს მსგავსი გართულებები:

„მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო ჩვენს კოლეგებს, პოლიტიკოსებს უკრაინაში, ხელისუფლებას, ოპოზიციას, რომ როგორმე მოახერხონ საკითხების მშვიდობიანი გზით, საკითხების ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყვეტა და არა რომელიმე სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს კარნახით ან რჩევით. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოგვარდეს ყველა საკითხი ყველა ქვეყანაში“, – მიაჩნია პარლამენტის თავმჯდომარეს.

საქართველოს პარლამენტის წევრებმა უკრაინაში მომიტინგეებსა და სპეცრაზმს შორის მომხდარი დაპირისპირებების დროს დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

„დაპირისპირებას მოჰყვა მსხვერპლი და რამდენიმე შემთხვევაში დადასტურებულია, რომ ცეცხლსასროლი იარაღით არიან დაღუპული დემონსტრაციის მონაწილეები. მინდა, წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ ამ ადამიანების ხსოვნას, რომლებიც თავიანთი ქვეყნისა და სამშობლოსთვის ბრძოლას შეეწირნენ“, – დასძინა უსუფაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილი „ლუკოილის“ ხელმძღვანელს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კომპანია „ლუკოილის“ დამფუძნებელსა და აღმასრულებელ დირექტორს ვაგიტ ალეკპეროვს შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ აღიარებული და სანდო საერთაშორისო კომპანიების შემოსვლა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარ პრიორიტეტია, განსაკუთრებით ისეთ სტრატეგიულ სექტორში, როგორიც ლოგისტიკაა. (ინტერპრესნიუსი)




# ექსკლუზივი

## რას ყვება საფრანგეთში მოღვაწე გიორგი ფოფხაძე კეზერაშვილის პროცესზე?



**საქართველოს ექსმინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში პატიმრობაში რჩება, პროცესი 30 იანვარს განახლდება. როგორც მთავარი პროკურორის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩილინგარაშვილი სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, სასამართლომ პროცესზე ორი საკითხი განიხილა, ერთ-ერთი დავით კეზერაშვილის ექსტრადიციის პროცესის მიმდინარეობისას აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი იყო, ხოლო მეორე — მისი ექსტრადიციის გადაწყვეტილება. ექსტრადიციის საკითხი ჯერ გარკვეული არ არის.**

**„ალია“ დაუკავშირდა საფრანგეთში მცხოვრებ ჟურნალისტს გიორგი ფოფხაძეს:**

**— მოსამართლემ არ დააკმაყოფილა კეზერაშვილის ადვოკატების მოთხოვნა, წინასწარი პატიმრობის სხვა სახის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ. აქედან გამომდინარე, როგორც „ნაციონალები“ ლაპარაკობენ, არც ისე წვიმს, როგორც ქუხს... რა კულუარული ინფორმაცია გაქვთ, რატომ არ მოხდა ადვოკატების შუამდგომლობის დაკმაყოფილება?**

– ფაქტობრივად, კეზერაშვილის ექსტრადირების საკითხი არ დგას, რატომ არ უშვებს საფრანგეთის სასამართლო კეზერაშვილს, ეს არის საინტერესო. ის არის ყოფილი საჯარო პირი და მეორე, მას ჯიბეში უდევს ისეთი პასპორტი, რომელ სახელმწიფოსთანაც საფრანგეთს იურიდიული თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. კეზერაშვილი სადაც არ უნდა წავიდეს, ისრაელი იმწუთშივე გადასცემს საფრანგეთს. შეგახსენებთ, რომ მას ისრაელის მოქალაქეობა აქვს და ისრაელი თავისი ქვეყნის მოქალაქისთვის, როგორც წესი, ყველაფერს აკეთებს, რომ საპატიმროდან გამოიხსნას. აქედან გამომდინარე, ის, რომ საშიშ დანაშაულში არ იყოს ეჭვმიტანილი, კეზერაშვილი დიდი ხნის გამოხსნილი ეყოლებოდათ ებრაელებს. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ ტელევიზიებს, ჩემი ნუ გეშინიათ, შეგიძლიათ, გამომიყენოთ და მიმავლინოთ კეზერაშვილის სასამართლო პროცესზე, რომელიც განახლდება ერთ კვირაში, თუ გინდათ, რომ სიმართლე გაიგოთ. იმაზე ნაკლები დაგიჯდებათ ჩემი მომსახურება, ვიდრე ის, რომ თქვენ საქართველოდან გამოუშვათ ჟურნალისტი, რომელიც ამბავს ვერ გამოგიტანთ, რადგან პროვანსული დიალექტი ისეთია, ვერაფერს გაიგებს.

ამ წუთისთვის ფრანგულ მედიაში არ არის ინფორმაცია კეზერაშვილზე, დეტალებს მომდევნო დღეებში გამოაქვეყნებენ, თუმცა გეტყვით, რომ საფრანგეთმა რუსებს გადასცა კუზნეცოვი. ეს პიროვნება გასამართლებული იყო ფინანსური დარღვევებისთვის, დაახლოებით იგივე დანაშაულშია ბრალდებული, რაც კეზერაშვილს აქვს ოფიციალურად წაყენებული, მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ კუზნეცოვისგან განსხვავებით, კეზერაშვილი საპატიმროში რჩება და ის არ გადასცეს საქართველოს.

**— რაც შეეხება სააკაშვილის ხელისუფლების კიდევ ერთ თავდაცვის ექსმინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს, რომელიც თქვენი მეგობარია, ვრცელდება ინფორმაცია, რომ, სავარაუდოდ, ის პოლიტიკურად გააქტიურდება და მონაწილეობას მიიღებს თვითმმართველობის არჩევნებში, ადასტურებთ ამ ინფორმაციას?**

– მე ირაკლი ოქრუაშვილთან ნათლისღების შემდეგ კონტაქტი არ მქონია, ბოლოს 19 იანვარს ვესაუბრე, ის გახლავთ საქართველოში, მას ჩემთან არაფერი უთქვამს, აპირებს თუ არა პოლიტიკურად გააქტიურებას. ასეთი რამ რომ დღის წესრიგში იყოს, პირველს მე მეცოდინებოდა.

**— ირაკლი ოქრუაშვილი ასოცირდება საომარ რიტორიკასთან, ოქრუაშვილი სახელდება იმ მთავარ არქიტექტორად, რომელმაც ადამიანების უსამართლო დაჩაგვრას საფუძველი ჩაუყარა.**

– როცა ირაკლი ოქრუაშვილს უყენებენ პრეტენზიას, კეთილი ინებონ და იგივე პრეტენზია წაუყენონ ფარცხალაძესა და პროკურატურის იმ სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს თანამდებობაზე არიან, იგივე პრეტენზია წაუყენეთ საყვარელიძეს, გია ბარამიძეს, ეს ხალხი ოქრუაშვილს პრეტენზიებს რატომ უყენებს. რა ომის რიტორიკა იყო ისეთი ირაკლი ოქრუაშვილში, რაც არ იყო გია ბარამიძეში?.. გია ბარამიძემ ქართველი ბიჭები შეაწყვიტა ცხინვალში, მე იმიტომ კი არ ვიცავ ოქრუაშვილს, რომ მასთან ნათელმირონობა მაკავშირებს და ჩემი მეგობარია?.. პირადად თქვენთვის მომიცია ბევრჯერ ინტერვიუ მკვახე გამონათქვამებით ირაკლი ოქრუაშვილზე, მაგრამ ყველაფერი შედარებითია, როცა გია ბარამიძე პარლამენტში გიზით, მას მხარს უმშვენებს დავით საყვარელიძე და ა.შ. ადამიანები, რომლებიც ფინანსური დამწიოკებლები იყვნენ, უსამართლობას აწესებდნენ, განა შეიძლება ყველა პასუხისმგებლობა ოქრუაშვილს ავკიდოთ?!. ღმერთმა ქნას ოქრუაშვილი დაბრუნდეს პოლიტიკაში, ზუსტად ოქრუაშვილისნაირი პიროვნების აუცილებლობაა საჭირო ქართულ პოლიტიკაში მესამე ძალად. „ნაცები“ და „ქოცები“ გვიკიჟინებდნენ, შუა უნდა გაიკრიფოს და მესამე ძალა არის ბოროტებაო. სწორედ ახლა უნდა ჩამოყალიბდეს მესამე ძალა და ეს უნდა იყოს ირაკლი ოქრუაშვილი.

**— ჩვენ არ ვიცით, ვის თამაშს თამაშობს ირაკლი ოქრუაშვილი, თუმცა გვახსოვს აგვისტოს ომის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის განცხადება: „დამირეკა ირაკლი ოქრუაშვილმა და მითხრა, საქართველოში ჩამოვალ, გვერდით დაგიდგები და მეც ვიომებო“.**

– თქვენ არ იცით, იქ რა მოხდა, მე ვიჯექი ირაკლი ოქრუაშვილთან მის ეზოში, დარეკა პალიკო კუბლაშვილმა, განწირული ხმით ეუბნება ირაკლი ოქრუაშვილს: „მთავრობა აღარ არსებობს, ტიპები გაიქცნენ, მიშა ზის და ჭამს ჰალსტუხს, ხელისუფლება დემორალიზებულია, ირაკლიმ მკითხა, – კი მაგრამ, მე რა ვქნა, ერთადერთი, რაც შემიძლია, ავდგები, ჩავიცვამ და წამოვალ საქართველოში, ვიომებ, მეტი რა გავაკეთოო?!. საკმაოდ მკვახე საუბარი გაგრძელდა მათ შორის და ოქრუაშვილმა ტელეფონი გაუთიშა. ზუსტად 5 წუთში რეკავს სააკაშვილი, მათი დიალოგი იყო სამწუთიანი, ირაკლის უთხრა, – რაც დათესეთ, იმას იმკით, დიდხანს გაფრთხილებდნენ, რომ ეს ნაბიჯი არ გადაგედგათ, მაინც ომი დაიწყეთ, ახლა რას მირეკავ, ახლა გაგახსენდი, როცა ძალიან გაგიჭირდაო?!. მიშას უთხრა, რაც მე შემიძლია, ისაა, რომ წამოვიდე და ჩემი ქვეყნისთვის ვიბრძოლოო.

**— საიდან გაიგო კუბლაშვილმა ოქრუაშვილის ფრანგული ტელეფონის ნომერი? უცნაურია, ირაკლის „ნაციონალებთან“ ჰქონდა ურთიერთობა?**

– არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია „ნაციონალებთან“, არ გაუჭირდებოდათ ოქრუაშვილის ტელეფონის ნომრის გაგება. ასე რომ, ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკიდან არც არსად წასულა, უბრალოდ, ტაიმ-აუტი აიღო, დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოკუპაციის გამო რუსეთი იზოლაციაში იმყოფება



ქართული მხარე რუსეთის ფედერაციას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, შეასრულოს აღებული საერთაშორისო ვალდებულებები და ოლიმპიური თამაშების პოლიტიზებისგან თავი შეიკავოს. რუსეთის მიერ სოჭის ოლიმპიური თამაშების გამო, რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე, ე.წ. სასაზღვრო ზონის საქართველოს ტერიტორიაზე 11 კილომეტრით გაფართოებასთან დაკავშირებით ეუთოს მუდმივი საბჭოს 981-ე პლენარულ სხდომაზე საქართველოს დელეგაციამ განცხადება გააკეთა.

საქართველოს წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული მხარის თანხმობის გარეშე, რუსეთის ფედერაციის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას და წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან, კერძოდ, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებთან და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დებულებებთან.

საქართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშების კონტექსტში, რუსეთის მხარე ძალისხმევას არ იშურებს აფხაზეთის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის წარმოსაჩენად და ამ მიზნით 500 ერთეული საშვიც კი გაიცა აფხაზეთის რეგიონში დარეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის, რაც უხეშად ეწინააღმდეგება საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ქართულმა მხარემ ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის ამგვარი ქმედება განსაკუთრებით ალმაშფოთებელია ცხინვალის რეგიონში მავთულხლართებისა და სხვა დამაბრკოლებელი კონსტრუქციების შექმნის და სამხედრო კონტინგენტის უკანონოდ გაზრდის ფონზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართულმა მხარემ მოუწოდა რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს აღებული საერთაშორისო ვალდებულებები და თავი შეიკავოს ოლიმპიური თამაშების პოლიტიზებისგან.

საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა. (ინტერპრესნიუსი)



# კულუარები

## ვისი დაღუპვა გაასაიდუმლოვა გიული ალასანიამ?



ჯონ ქრისტიან კორნბლამი, ამერიკის ყოფილი ელჩი და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ტაფტის უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთის „თაფთს დეილის“ რედაქტორს წერილით მიმართავს, რომ მიხეილ სააკაშვილი ფლეტჩერის სკოლისთვის სამარცხვინოა და არა საამაყო: „სააკაშვილს არ შეუძლია იყოს მაგალითი მომავალი დიპლომატებისა და ბიზნესის სფეროს ლიდერებისთვის. მე ვიყავი მომსწრე 2012 წლის არჩევნების საბოლოო დრამატული კვირისა და შემიძლია, პირადად დავადასტურო ის უმოწყალო ზეწოლა თავისუფლებაზე და ძალადობა საარჩევნო კამპანიაში ჩართულ მოქალაქეებზე... ფლეტჩერის ახალი დეკანი იმ უფროსი თაობის ამერიკელ სამხედრო ჩინოვნიკთა ჯგუფიდანაა, რომელიც სააკაშვილს, მიუხედავად მისი დანაშაულებისა, მხარს უჭერდა. წაიკითხეთ საქართველოს უახლესი ისტორია, გაეცანით სააკაშვილის მიერ პატიმრებთან მოპყრობის ფაქტებს, 2011 წლის მაისში მომიტინგეების დაუნდობელ დარბევას, კორუფციასა და პირად გამდიდრებას, რამაც მისი მთელი რეჟიმის ინფიცირება გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა, აიძულეთ ის, თქვას სიმართლე“.

რა სიმართლე უნდა თქვას მიხეილ სააკაშვილმა? როდის უთქვამს სიმართლე? მისი ადგილი ციხეშია.

როგორც მამალი „ნაციონალი“ ნუგზარ წიკლაური აცხადებს, „დღეს გადამწყვეტი დღეა უკრაინაში“.

ანუ „ნაციონალები“ რევანშისთვის ემზადებიან. „ნაციონალები“ აკონტროლებენ თითქმის ყველა ქართულ ტელეარხს, აკონტროლებენ ქართული ბიზნესის დიდ ნაწილს (ორიოდე დღის წინ სპორტის სასახლის წინ „ნაციონალმა“ არჩილ გეგენავამ შემოღობვა დაიწყო, გასართობ ცენტრს აშენებს. თუმცა იქ სავაჭრო ცენტრიც იქნება. აბა, როგორ წარმოგიდგენიათ მაღალსართულიანი შენობა სპორტის სასახლის წინ?) და ასევე აკონტროლებენ სამთავრობო სტრუქტურებს თავიანთი აგენტურის საშუალებით. „ნაციონალები“ კონვეიერული წესით ქმნიან არასამთავრობო ორგანიზაციებს და საინფორმაციო სააგენტოებს. ცოტა ხანში კი მხოლოდ საჭირო იქნება მათი მფარველების „დაბრო“ ამერიკიდან და ევროპიდან. ასეა ეს, ამერიკელები არ ყლაპავენ ნარინჯისფერი და ვარდების რევოლუციების მარცხს, ისინი რევანშის აღებას აპირებენ.

„დღეს უკრაინიდან რენეგატი იანუკოვიჩის გაძევება ნიშნავს ხვალ საქართველოდან რუსი ოლიგარქის გაძევებას“. წიკლაურის ეს ნათქვამი არ არის უბრალოდ წამოსროლილი სიტყვები, ეს „ნაციონალების“ მიზანია და სადაც სამართალია, ამ განცხადებით ვინმე უნდა დაინტერესდეს. რა ხდება, რატომ ნიშნავს იანუკოვიჩის გაძევება ივანიშვილის გაძევებას და ახალი ხელისუფლების დამხობას?!

აგერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის სხდომა გაიმართა. გადაწყდა, რომ მალე მოსახლეობის საყოველთაო აღწერა დაიწყება. წინასწარი მონაცემები 2015 წლის აპრილში გახდება ცნობილი, ხოლო საბოლოო შედეგები 2016 წლის დასაწყისში გამოქვეყნდება. ესენი დაგვცინიან, ჯერ ერთი, რით ვეღარ აღგვწერეს ეს 3 მილიონი ადამიანი და მეორეც – რა უბედურებაა ყოველწლიურ გადათვლაში მილიონების ხარჯვა? თურმე საბოლოო შედეგები 2016 წელს გამოქვეყნდება, ორი წლის შემდეგ... რჩება შთაბეჭდილება, რომ „ოცნების“ ხელისუფლება მშვენივრად ითვისებს პროექტებს, რომლითაც „ნაციონალები“ გვიდგამდნენ წინასაარჩევნო შოუებს.

უნდა გაგახაროთ... მიშას ბიბლიოთეკა კვლავ შენდება ბოჭორიშვილის ქუჩაზე, საშინელი შენობაა. მეზობლები უკვე დაიღალნენ, მუშები სამ ცვლაში მუშაობენ. უფროსთაგან დღისით იქ არავინ დადის, მხოლოდ ღამით ჩნდება ძვირადღირებული ჯიპები. რამდენიმეჯერ მხოლოდ ანდრო ბარნოვი ამოიცნეს. მიშამ თავისი მეზობლისგან, ვაჟა წოწკოლაურისგან ნაკვეთიც იყიდა. თავიდან ვაჟას ძმა იყო წინააღმდეგი, 1500 დოლარს ითხოვდა კვადრატულში, მაგრამ 1000 შესთავაზეს და დაითანხმეს. გაზაფხულზე ჩამოვა სააკაშვილი თბილისში, „ნაციონალურ“ ბუნაგს მოაწყობს ე.წ. ბიბლიოთეკაში და მიდი, მოვდივარ, დაიწყება ათასნაირი გაუგებრობა.

სხვათა შორის, ახლა ბედავენ მეზობლები იმაზე ლაპარაკს, თუ როგორ გადმოვარდა ერთ-ერთი მუშა გიული ალასანიას უნივერსიტეტის მე-5 სართულიდან და როგორ დაიღუპა, როცა ის შენობას არემონტებდა. ამ ფაქტს ბოჭორიშვილის ქუჩაზე მაცხოვრებლები შეესწრნენ, მაგრამ გიულიმ ეს ამბავი მაგრად შეფუთა. ეს 2 წლის წინათ მოხდა და რა თქმა უნდა, მაშინ მიშას დედიკოს ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა. ისე, მაგარი ფათერაკიანი ოჯახი აქვს გიული ალასანიას, ისე არაფერს გააკეთებენ, ადამიანების სიცოცხლე რომ არ შეიწირონ.

„ალიას“ წინა კვირის ერთ-ერთ ნომერში ვწერდი, რომ საპატრიარქოში სიტუაციას ურევს იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი დედა სიდონიასა და მამა ბართლომეს (ფირცხალაშვილის) ხელით. ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დამირეკა მამა ბართლომეომ და მითხრა, რომ ის გადატრიალებას ნამდვილად არ ამზადებს საპატრიარქოში, იქ არიან ადამიანები, რომლებიც ამას ისედაც მოახერხებენ. მამა ბართლომეს საზოგადოება იცნობს გამორჩეული წყევლით. მისი თქმით, მან დაწყევლა მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ სრულიად სამართლიანად, ახლა კიდევ მიწა უნდა დაეყაროს ყველას, ვინც საპატრიარქოში ურევს სიტუაციას. თუკი ასეა, მაშინ დროა, დავარისხოთ განგაშის ზარები, ვის აქვს უფლება, გადატრიალება მოაწყოს ქართულ ეკლესიაში? ვინ არის შორენა თეთრუაშვილი, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ და თვითონ ხმას არ იღებს? აი, ამაშია საქმე...

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

## „საქართველოში ეკონომიკა უფრო მდგრადი ხდება“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ყურადღება ევრაზიის რეგიონის ეკონომიკურ პერსპექტივებზე გაამახვილა.

ღარიბაშვილის განცხადებით, ათასწლეულის დადგომიდან მოყოლებული, სტაგნაციის წლების შემდეგ, პოლიტიკური მოვლენები საქართველოში დინამიკურობით გამოირჩევა, ხოლო ეკონომიკა სულ უფრო მდგრადი ხდება.

„მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ზრდა შემოიფარგლებოდა სექტორების მცირე ჯგუფით და ნაკლებად ჰქონდა არსებითი გავლენა ზოგადად ეკონომიკაზე. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია რეგიონული მნიშვნელობის რამდენიმე მოვლენამ. ნება მომეცით, ყურადღება გავამახვილო დადებით ძვრებზე. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა, სთავაზობს რეგიონის ქვეყნებს ესოდენ აუცილებელ ბიძგს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კუთხით. საუბარია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ჩათვლით. ვაჭრობასთან დაკავშირებული სტრატეგიების ზედმიწევნითი რეფორმების გატარებით, როგორც ეს მოიაზრება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველო იმედოვნებს, რომ მოიპოვებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ გასასვლელს ევროკავშირის ბაზარზე თავისი პროდუქციისა და მომსახურებისთვის. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს პირდაპირი ინვესტიციების ნაკადს საქართველოში“. – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დემოკრატიული მოძრაობა“ უკრაინის მოვლენებს ეხმიანება

„დემოკრატიული მოძრაობა“ უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამს. მოძრაობა თანადგომას უცხადებს მოძმე უკრაინელ ხალხს და მწუხარებას გამოთქვამს, რომ კიევში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს უკვე მოჰყვა მსხვერპლი, დაშავებულთა რაოდენობა კი ყოველდღიურად იზრდება.

„დემოკრატიული მოძრაობა“ იმედს გამოთქვამს, რომ უკრაინის ხელისუფლება და ოპოზიციის ლიდერები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ პროცესები სისხლიან დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს და მოვლენები უმართავი არ გახდეს.

„უკრაინა რთულ პერიოდს გადის და არის გამორიცხული, რომ დაძაბულობა კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდეს. მიგვაჩნია, რომ უკრაინის სტაბილურობისა და მომავალი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ უკრაინელმა ხალხმა შეძლოს არსებული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრა“, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## მარგველაშვილი ფილიპ ლეფორს შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეს ევროკავშირის მხრიდან, ფილიპ ლეფორს შეხვდა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქვეყნის პირველმა პირმა ლეფორთან შეხვედრისას, ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების შესახებ.

შეხვედრის მიზანი იყო, კიდევ ერთხელ დადასტურებულიყო ევროკავშირის ურყევი პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისა და ოკუპირებული ტერიტორიების თაობაზე.

„შეხვედრისას, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მნიშვნელოვანი წინაპირობა და გარანტია სწორედ ეს ურყევი პოზიციაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სტაბილური მხარდაჭერა და ჟენევის პროცესის წარმართვა ამ პრინციპების სრულად გათვალისწინებით. ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენელმა დღეს ჩვენ სწორედ ამაში დაგვარწმუნა“, – ნათქვამია პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციაში. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK






# ექსკლუზივი

„ალიასთვის“ ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში შესაძლოა, ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებს შორის დაპირისპირება სკანდალში გადაიზარდოს. როგორც წყარო იუწყება, საკითხი ეხება საბიუჯეტო თანხებთან დაკავშირებულ შეუთანხმებლობას.

აი, რას ყვება წყარო:



# რა სკანდალი მწიფდება თეა წულუკიანსა და ნოდარ ხადურს შორის?

– წულუკიანსა და ხადურს შორის სერიოზულად დაიძაბა სიტუაცია და დატაკებიან კიდეც ერთმანეთს. საქმე ეხება იმას, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურსა და იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის გაფორმებული ყოფილა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შემოსავლების სამსახურის მიერ დარიცხული ჯარიმები და საურავები ნაცვლად შემოსავლების სამსახურისა, ფიზიკური პირებისგან და ორგანიზაციებისგან უნდა ამოიღოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების სამსახურმა, რაშიც მას ერიცხება რამდენიმე მილიონი ლარი. ანუ შემოსავლების სამსახურმა გადასცა ეს უფლება იუსტიციას, ვინაიდან მას აქვს აღსრულების ბიურო, აღსრულების პოლიცია და ასე შემდეგ. საქმე ისაა, რომ ამოღების გეგმა არ აქვს შესრულებული იუსტიციას და დიდი გარღვევა მოდის სწორედ აღსრულების მიერ ამ თანხების ამოუღებლობაზე. შემოსავლების სამსახურს სერიოზული პრეტენზიები აქვს იუსტიციასთან, რომ ეს თანხები წულუკიანის არასწორი მენეჯმენტის გამო ვერ მოხვდა ბიუჯეტში.

**— მთავრობის სხდომაზე კი არიან ხოლმე ერთად, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვდნენ ერთმანეთს?**

– წულუკიანს თურმე ამ საკითხზე მთელი წელი ერთი შეხვედრაც არ გაუმართავს.

**— რა თანხაზეა საუბარი მიახლოებით მაინც, იცით?**

– სამწუხაროდ, რა თანხას უხდიან იუსტიციას ამ ამონაგების მიხედვით, ზუსტი ციფრი ვერ დავადგინე, მაგრამ ხელშეკრულება რომ არსებობს და ის ორივე მხარეს ვალდებულებას აკისრებს, ეს ნამდვილად ვიცი. მიმაჩნია, რომ წესით, თავად უნდა ასაჯაროებდნენ ამ ინფორმაციას, მაგრამ მე ვარ წყარო, რომელიც ზუსტად ვარ ინფორმირებული მოსალოდნელი სკანდალის შესახებ და როგორც მოქალაქე, ვალდებულად ვგრძნობდი თავს, რომ თქვენთვის ამის შესახებ მეთქვა. ერთ ინფორმაციასაც გეტყვით, იქნებ დაგაინტერესოთ. 2013 წელს (ანუ იმ პერიოდში, როცა ბიუჯეტი არ შესრულდა), წულუკიანის ბრძანებით აღსრულების ბიუროს უფროსად დაინიშნა ადვოკატი მიხეილ სარჯველაძე, რომელზეც ამბობენ, რომ ძალიან სუსტი მენეჯერია და მის მოადგილედ ვაჟა ლორთქიფანიძის სიძე დაინიშნა. 2013 წლის ნოემბერში წულუკიანმა სარჯველაძე, რომელიც პასუხისმგებელი იყო ამ თანხების ამოღებაზე, დააწინაურა და ახლა მინისტრის მოადგილეა, ხოლო ვაჟა ლორთქიფანიძის სიძე დაუნიშნავს უფროსად. ეს სარჯველაძე ყოფილა წულუკიანის მეგობარი. ასევე, არმაზ ახვლედიანის ახლობელია და მისი პოლიტიკური სკოლის კურსდამთავრებული. აქედან გამომდინარე, წულუკიანთან მისი კავშირების დანახვა რთული არაა. გული მწყდება, რომ არანაირი გამჭვირვალობა არ ახასიათებს ამ ხელისუფლებას, ისეთ დოკუმენტებს მალავენ, რომელთა გასაჯაროებაც მინიმუმ მინისტრის გადადგომის საფუძველი გახდებოდა, მაგრამ შიდა გუნდიდან თუ ვინმე გამოიტანს ამ დოკუმენტს, თორემ ასე საიდუმლოდ დარჩება სამუდამოდ.



**„ალია“ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, მარიამ სხილაძეს დაუკავშირდა იმაში გასარკვევად, არსებობს თუ არა მართლაც ასეთი ხელშეკრულება და რა ფულადი ვალდებულება აქვთ სამინისტროებს ისეთი, რომ ამოღებულ ფულს ვერ იყოფენ.**

– დიახ, ხელშეკრულება არსებობს, რომელიც გაფორმდა 2011 წლის 14 აპრილს აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და საშემოსავლო სამსახურს შორის, რომლის საფუძველზეც აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს საგადასახადო ვალდებულების მქონე პირთა ქონების მოძიებას და მომზადებას იძულებითი რეალიზაციისთვის.

**— რამ განაპირობა ამ ხელშეკრულების დადება, რისთვის გახდა აუცილებელი?**

– ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ერთ ცენტრში მოეყარა თავი იმ ღონისძიებებს. ხელშეკრულების დადების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონში და საგადასახადო კოდექსში 2011 წელს შეტანილი ცვლილებები.

**— რა თანხაზეა საუბარი, რაც დავის საგანი გახდა?**

– ხელშეკრულებით თავდაპირველად განისაზღვრა მომსახურების ღირებულება, რომელიც 2011 წელს შეადგენდა 3 600 000 ლარს, ხოლო 2012 წელს ამ ღირებულებამ შეადგინა 2 004 000 ლარი. 2012 წლის აგვისტოდან ამ საფასურიდან აღსრულების ბიუროსთვის 835 000 ლარი არ იყო გადახდილი.

**— გაქვთ ოფიციალური მონაცემები, რა თანხა ამოიღო აღსრულების ბიურომ?**

– თავად შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2011 და 2012 წელს ჯამურად ამოღებული თანხა 88 000 000 ლარია. შემოსავლების სამსახურმა 2013 წელს დაფარა 835 000 ლარის დავალიანება და აღსრულების ეროვნულ ბიუროს გაუგრძელა ხელშეკრულება ერთი წლის ვადით. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება შემცირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით 1 899 600 ლარის ოდენობით. 2013 წელს ამავე ხელშეკრულებით აღსრულების ბიურომ ამოიღო 124 000 000 ლარი, რომელსაც ემატება 2 744 968 ლარის ღირებულების სახელმწიფოსთვის ნატურით გადაცემული ქონება.

**— თუ კონკრეტული ციფრები და შეთანხმება არსებობს, აბა, რა გახდა სადავო? რაზე ვერ შეთანხმდით?**

– ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ 2014 წელისთვის. სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, რომელი სამინისტროს ფარგლებში უფრო ეფექტიანად იმუშავებს ეს სერვისი.

**„ალია“ შემოსავლების ბიუროს პრესსამსახურსაც დაუკავშირდა. ბესო ლილუაშვილმა ასეთი კომენტარი გააკეთა: „როგორც გავარკვიე, ამ თემაზე იუსტიციის სამინისტროსაც მოუწერია უკვე თქვენთვის განმარტება, ამიტომ ჩვენ ვერაფერს დავამატებთ“.**

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხაჩირაშვილი ხათუნა ბერძენიშვილს ადანაშაულებს



თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ნიკო ხაჩირაშვილი კრწანისის რაიონის გამგებელს ხათუნა ბერძენიშვილს პოლიტიკურად ანგაჟირებული განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს.

„მინდა გამოვეხმაურო კრწანისის რაიონის გამგებლის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, სურვილი აქვს, რომ ამ შუა ზამთარში დააგონ ამ რაიონში გზები. ძალიან კარგია, რომ ასეთი სურვილი არსებობს, თუმცა მისი ეს განცხადება პოლიტიკურად ანგაჟირებულია, იქიდან გამომდინარე, ვითომ ფული არ აქვთ. თუ ასეთი სურვილი აქვთ, რომ შუა ზამთარში დააგონ გზები, ამის საკმარისი რესურსები მათ აქვთ“, – განაცხადა ხაჩირაშვილმა.

ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა აღნიშნა, რომ, თუ კრწანისის გამგებელი საგზაო მიმართულებით ასეთი პროფესიონალია, უმჯობესია, ეს ცოდნა თბილისის მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარმოებული რუსთავის შემოვლითი გზისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით გამოიყენოს.

ხაჩირაშვილმა თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის ჩავარდნის მიზეზებზეც ისაუბრა და აღნიშნა, 2013 წლის 17 დეკემბერს თბილისის საკრებულომ თავდაპირველად მერიის მიერ შემოტანილი 730-მილიონიანი ბიუჯეტის პროექტი განიხილა, თუმცა 29 დეკემბერს, საკრებულოს სხდომაზე, უკვე 785-მილიონიანი პროექტი იქნა წარმოდგენილი, რაც, ბუნებრივია, დამატებით განხილვას საჭიროებდა და შესაბამისად, მისი მიღება აღნიშნულ სხდომაზე ვერ მოხერხდებოდა.

საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელმა საქალაქო სამსახურებს, გამგებლებსა და თბილისის მთავრობას მიმართა და აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების პოლიტიკურ ჭრილში წარმოდგენა არ არის სწორი, რადგან დედაქალაქის მოსახლეობას აღნიშნული ქმედება მხოლოდ დააზარალებს. (ინტერპრესნიუსი)

## მცირემიწიან ფერმერებს თებერვლიდან დაეხმარებიან



სოფლის მეურნეობის სამინისტრო თებერვლიდან „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტს“ იწყებს.

„სახელმწიფო ყველაზე ენერგოტევად, ყველაზე მნიშვნელოვან სამუშაოებში – ხვნის პროცესში ეხმარება მათ. პროექტის ბიუჯეტი 90 მილიონამდე ლარს შეადგენს. პროექტს სახელმწიფო ბიუჯეტი და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს“, – აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა პროგრამის ბენეფიციარების სიების დასაზუსტებლად. როგორც უწყებაში განმარტავენ, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ სიების დაზუსტებისა და ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ, 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით წელს დაახლოებით 800,000-მდე მცირემიწიანი ფერმერი ისარგებლებს. ბენეფიციარები იქნებიან ფერმერები, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 1.25 ჩათვლით ჰექტარის ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ერთწლიანი ან მრავალწლიანი კულტურების წარმოებისთვის იყენებენ. (ინტერპრესნიუსი)



## ალიაქოთი

# რატომ „გადაუარა“ ნიკა გვარამიამ გია ვოლსკის?



შარშან ამ დროს არ იყო, ბიძინა ივანიშვილი დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე დიდი იმედებით რომ წავიდა. მაშინ ყველა ვარაუდობდა, რომ მსოფლიოსთვის ცნობილ ქართველ მილიარდერს ბიზნესმენები დაეხვეოდნენ და საქართველოში ინვესტიციები დაიძვრებოდა, მაგრამ მსოფლიო ბიზნესმა მაშინ დამკვირვებლის როლი არჩია და ერთადერთი ინვესტიცია განხორციელდა. ახლა კი, ბატონი ბიძინას გათელილ გზას იგივე იმედით ირაკლი ღარიბაშვილი დაადგა და ჯერჯერობით საიმედო არაფერი ჩანს. მიზეზი მარტივია – ეს კოჰაბიტაცია მარტო ჩვენ კი არა, ბოლომდე ევროპელებმაც ვერ გაიგეს და ინვესტიციების იმედიც დავოსის თოვლივით დნება. სხვათა შორის, როგორც ჩვენ გვითხრეს, ღარიბაშვილს დავოსი ძალიან მოსწონებია.

როგორც იქნა, ბიძინა ივანიშვილმა მოიცალა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ დააფუძნა. არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებასთან ერთად, ივანიშვილმა ის საჩუქრებიც დაუბრუნა სახელმწიფოს, რომლებიც პრემიერობის დროს მიიღო და მათი საერთო ფასი, სავარაუდოდ, მილიონზე მეტია. ეს კი კარგია, მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებს, ბიძინას წინა, იმის წინა და კიდო იმის წინა პრემიერებს რაღაცებს რომ ჩუქნიდნენ, ის საჩუქრები სად არის?! კარგად მახსოვს, ერთხელ გილაურმა ვიზიტიდან 30 ათას ევროდ შეფასებული ხმალი ჩამოიტანა და სანამ ეს ხმალი ნიკას თავზე დემოკლეს მახვილივით დაეკიდება, ეგებ სჯობდეს, სახელმწიფოს დაუბრუნოს, თუმცა... კოჰაბიტაციის გადამკიდე დემოკლეს მახვილი კი არა, ყველას ყველაფერი ჰკიდია...

ნამდვილად არ მეგონა, თუ დავით კეზერაშვილს იუმორის ასეთი გრძნობა ექნებოდა. 23 იანვარს კეზერაშვილთან დაკავშირებით ორი პროცესი გაიმართა. ერთი საქართველოში, მეორე კი საფრანგეთში. რადგან „კეზერა“ ერთადერთია (და განუმეორებელი), ის ორ პროცესზე ვერ იქნებოდა და ამიტომ საფრანგეთში გამართულ სხდომას დაესწრო. საფრანგეთში ქართული მედიის წარმომადგენლებიც იყვნენ და კეზერაშვილთან შეხვედრაც მოახერხეს, თუმცა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა და მხოლოდ იმით დაინტერესდა, აღდგა თუ არა საქართველოში სამართლიანობა?! პარალელურად, თბილისურ პროცესზე კეზერას ადვოკატმა თავისი კლიენტის განცხადება წაიკითხა და აღნიშნა, კეზერაშვილი საჭიროდ არ მიიჩნევს სასამართლოზე დასწრებასო და მოსამართლეს არ უკითხავს, რომ აინტერესებდეს, როგორ დაესწრებაო. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, იმედია, კეზერაშვილს ჩამოიყვანენ და თავად გახდება მომსწრე და მონაწილე ამ აღდგენისა...



ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა კი იმდენად საინტერესო განცხადება გააკეთა, მის გაგებას ტვინის გვარიანი ამუშავება სჭირდება. მან განაცხადა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს საზღვრის 11 კილომეტრით გადმოწევა სოჭის ოლიმპიადასთან არის დაკავშირებული და დროებითიაო. რა თქმა უნდა, ქართველ ჩინოვნიკებს გაუხარდათ, დროებითი ყოფილაო და... არ შეიძლება, ასევე, დროებით, თავი რომ დავიზღვიოთ, სამხრეთ ოსეთში ოკუპირებული ტერიტორია 11 კილომეტრით დავიბრუნოთ (დროებით) და ოლიმპიადის შემდეგ ვიმსჯელოთ. თუმცა ამას რუსებს ახლა ვერავინ გაუბედავს (დიმიტროვიც კი), რადგან თუ პუტინმა ცუდ ხასიათზე გაიღვიძა, კიდევ ერთ პარტია მავთულხლართს ისე გამოგზავნის საქართველოში, დიმიტროვსაც და ევროკავშირსაც სულ ჟირინოვსკიზე დაიკიდებს. ისე, ზამთრის წინა ოლიმპიადა კანადაში, კერძოდ კი ვანკუვერში ჩატარდა და არ გამიგია, კანადელებს ამერიკის საზღვარი გადაეწიოთ.

ლტოლვილთა მინისტრმა დავით დარახველიძემ საინტერესო განცხადება გაავრცელა. მისი თქმით, მალე კანონში შევა ცვლილება, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსს ახლებურად განსაზღვრავს. კერძოდ, დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე, რომელიც იძულებული გახდა, თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას, ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ან თავისუფლებას. ჰოდა, რა გამოდის? შიმშილით რომ არ დაიხოცონ, რეგიონებიდან დიდი ნაწილი თბილისშია ჩამოსული, ანუ რეალურად მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და ამ ხალხმა რომ მიმართოს დარახველიძეს, სად მიდის მერე? ახლა არ მითხრათ, სამოქალაქო სექტორშიო, ბიძინამ არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, მინისტრთა თავშესაფარი კი არა.

„ბევრი პოლიტიკურად ბეცი ადამიანი ადარებს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს 7 ნოემბერს და 26 მაისს და მინდა, მათ პასუხი გავცე. 26 მაისს მთლად ყველაფერი კარგად რომ არ იყო, ყველამ კარგად ვიცით და სწორედ ამიტომაც, უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოს პრეზიდენტი 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენების შემდეგ გადადგა და დაინიშნა არჩევნები. რაც შეეხება 26 მაისს, გაიხსენეთ კარგად, არავინ არ არის, ალბათ, მეხსიერებადაკარგული, ეს ღონისძიება ტარდებოდა იმ ძალების მიერ, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაკავშირებული პუტინთან და კრემლთან. ამიტომ, ამ მოვლენების ერთმანეთთან შედარება სხვა არაფერია, თუ არა უზნეობა და მკრეხელობა“, – ეს განცხადება გიორგი ბარამიძემ გააკეთა.

მეტის ღირსები ხართ და ვართ. სწორედაც რომ მეხსიერებადაკარგულები ვართ, თორემ სად არის ბარამიძისა და მისი მეგობრების სალაპარაკო, მთელი 9 წლის განმავლობაში იმას რომ ცდილობდნენ, ერი „დაეჩმორებინათ“, მაგრამ საბოლოოდ ვინ გამოვიდა „ჩმორი“, სოსო ჯაჭვლიანმა გაარკვია.

დასასრულ დამოუკიდებელი ტელევიზია „რუსთავი 2-ის“ „დამოუკიდებელმა“ დირექტორმა, „პრინციპულმა“ და „მიუკერძოებელმა“ ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში დაწერა: „ეს ვინმე ვოლსკი რა ფენომენია? ვინაა საერთოდ და საიდან მოვიდა? მთლად ასეც არაა უმრავლესობა გაძვალტყავებული, ეს რომ იყოს მათი ლიდერი. კატასტროფა და სირცხვილი“...

ჰოდა, ვოლსკიც მეტის ღირსია. პროკურატურის მიერ გადაღებული ჰიჩკოკისეული ფილმების ერთ-ერთი ავტორი ასე ლაღად რომ საუბრობს, სწორედაც რომ ღირსია და ასე გაძვალტყავებულები იქნებით მანამ, სანამ „ნაციონალების“ ოდიოზურ ფიგურებს თამაშის უფლებას მისცემთ... ათამაშებენ, ბატონებო, ცუდად ათამაშებენ!

ლევან ღვინიაშვილი

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნარმანიამ მერიის ქმედებებში საბოტაჟის ნიშნები დაინახა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას განცხადებით, დედაქალაქის მერიის ქმედებები აშკარად შეიცავს საბოტაჟის ნიშნებს.

„დღეს რასაც აკეთებს მერია, აშკარად შეიცავს საბოტაჟის ნიშნებს. მათ შეუძლიათ ძალიან ბევრი ღონისძიების დაფინანსება. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მიღებული აქვთ და ანგარიშზე გააჩნიათ რამდენიმე ათეული მილიონი ლარი. ასეთ პირობებში ცალკეული ღონისძიებების შეფერხება სხვას არაფერს ემსახურება, თუ არა იმას, რომ ხალხს მოაჩვენონ, თითქოს და ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა ქმნის ხარვეზებს პროექტებში“, – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, თბილისის მერიის მიერ თავდაპირველად წარმოდგენილი ბიუჯეტი არ იყო დეტალური და გამჭვირვალე.

„თბილისის მერია ვალდებულია, დეტალური და გამჭვირვალე ბიუჯეტი წარადგინოს საკრებულოში. ესეთი ბიუჯეტი არ იყო წარდგენილი. ბოლო ვერსიას, რომელიც რამდენიმე დღის წინ იყო წარდგენილი, არ ვიცნობ. ანუ არ ვიცი, რამდენად გაითვალისწინა მერიამ საკრებულოს შენიშვნები. დეტალურად უნდა ინახოს პროექტი“, – აღნიშნა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილი რუსეთისგან პროვოკაციებს ახლაც და მომავალშიც მოელის




საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსში, ეკონომიკურ ფორუმზე ყოფნისას ამერიკულ ტელეკომპანია „სი-ენ-ბი-სი“-სთან განაცხადა, რომ საქართველო რუსეთისგან პოლიტიკურ პროვოკაციებს ახლაც და მომავალშიც მოელის.

„ჩვენ მოვახდინეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება. ევროპული არჩევანი და ევროინტეგრაცია ჩვენი მთავრობის არჩევანია, რომელსაც ქართველი ხალხი უჭერს მხარს. ამიტომ უკრაინისა და საქართველოს მაგალითი ერთმანეთისგან განსხვავებულია“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ პროვოკაციები წელსაც განხორციელდა. „ჩვენ პრობლემებს ვაწყდებოდით გასულ წელს, 2008 წელს გადავიტანეთ ომი, წელსაც კი უამრავი პროვოკაცია განხორციელდა საოკუპაციო ხაზთან და ამიტომ მეტ პროვოკაციებს მოველით, ვერ ვიტყოდი, რომ რუსეთის მხრიდან ზეწოლა არ იქნება. თუმცა, ჩვენ ნაკლებად დამოკიდებულები ვართ რუსეთზე და ამიტომ რისკები მინიმალურია... ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის, რადგან ეს ევროპული ქვეყნების, აშშ-სა და სხვა ქვეყნების ნომერ პირველი რეკომენდაცია იყო. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო... ყველაფერი კარგად მიდის, გარდა პოლიტიკური ურთიერთობებისა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მთავრობის პოლიტიკასთან. ერთი მხრივ, ჩვენ შევცვალეთ რიტორიკა და მხოლოდ კონსტრუქციულ ნაბიჯებს ვდგამთ. მეორე მხრივ კი, ვაწყდებით პრობლემებს საოკუპაციო ხაზთან, რაც ჩვენთვის გაუგებარია“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ბრიტანელი ქალები შეყვარებულებზე ინფორმაციის მიღებას პოლიციიდან ოფიციალურად შეძლებენ



სულაც არ არის გამორიცხული, ფემინისტების აქტიურობამ ის ლოგიკური შედეგი გამოიღოს, რომ უახლოეს მომავალში მათ სექსი მხოლოდ პლაკატზე დახატულ მამაკაცებთან ექნებათ და მხოლოდ მანეკენებთან კოცნაობას შეძლებენ...

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა „კლერის კანონის" შესახებ განმარტებები გააკეთა, რომელიც ქალებს საშუალებას აძლევს, მათი რჩეულების კრიმინალურ წარსულზე ინფორმაცია პოლიციიდან გამოითხოვონ.

კანონს სახელი კლერ ვუდის პატივსაცემად შეურჩიეს, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა.

უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ახალი კანონი ბრიტანელ ქალებს ოფიციალურად რთავს ნებას, გამოითხოვონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მათ მომავალ მეუღლეებს ეხებოდეს. კერძოდ, დაადგენენ, ჰქონია თუ არა მამაკაცს შეხება პოლიციასთან.

კანონი ინგლისისა და უელსის რამდენიმე საგრაფოში იმოქმედებს და გარკვეული დროის მანძილზე საპილოტე რეჟიმში იმუშავებს. თუკი დამტკიცდება, რომ კანონი ეფექტურია, ის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდება.

რაც შეეხება კლერ ვუდსს, ის 2009 წელს ბოიფრენდმა ჯორჯ ეპლტონმა ჯერ გაგუდა, შემდეგ კი ცხედარი დაწვა.

„კლერის კანონის" ინიციატორები მიიჩნევენ, შეყვარებულის შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, კლერ ვუდსი საშინელ სიკვდილს გადაურჩებოდა.

მკვლელობის შემდეგ, ჯორჯ ეპლტონი პოლიციას კარგა ხანს ემალებოდა, თუმცა, როცა გააცნობიერა, რომ მთელი ცხოვრება ძებნილად დარჩებოდა, თავი ჩამოიხრჩო.

*lenta.ru*

## დასვენების დღედ კვირა 1693 წლის წინათ გამოცხადდა



დღეისთვის მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოში, მათ შორის, საქართველოშიც, კვირა დასვენების ოფიციალური დღეა, რაც, პრინციპში, ყველამ გადასარევად იცის.

მაგრამ იმის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია, როდის მოხდა დასვენების დღედ სწორედ კვირის არჩევა?

თურმე, სულ პირველად კვირას დასვენების დღის სტატუსი 321 წლის 7 მარტს მიენიჭა. სწორედ ამ დღეს რომაელმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა კვირა გამოსასვლელ დღედ აღიარა. საინტერესოა, რომ მსოფლიოს ისტორიაში არც ერთი ხელისუფლების გადაწყვეტილება არ ყოფილა ისეთი სასიამოვნო და ყველასთვის მისაღები, როგორიც კონსტანტინეს ინიციატივა.

იმპერატორის განკარგულებით, კვირა დღეს ბაზრები უნდა დახურულიყო, სახელმწიფო დაწესებულებებს კი ყოველგვარი საქმიანობა უნდა შეეჩერებინა, გარდა მონების განთავისუფლების ოპერაციებისა. არავითარი შეზღუდვა მიწათმოქმედებაზე, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა მისდევდა, არ დაწესებულა.

კონსტანტინეს გადაწყვეტილებამდე, რომის იმპერიის მოქალაქეები კვირაობით „მზის დღეს" აღნიშნავდნენ. ამ ტრადიციის გამოძახილი დღემდე შემორჩენილია კვირის აღმნიშვნელ არაერთ ევროპულ სიტყვაში. ტრადიცია კონსტანტინე დიდმა შემდეგი მიზეზით შეცვალა: მნიშვნელოვანი ბრძოლის წინ მას დაესიზმრა მზეზე გამოსახული ჯვარი წარწერით, რომელიც გამარჯვებას ჰპირდებოდა. სიზმარი ახდა და იმპერატორმა გამარჯვება მოიპოვა. სწორედ ამიტომ, კონსტანტიტნემ კვირა დღეს ფიზიკური შრომა აკრძალა და ეს დღე უფალს მიუძღვნა.

ამის შემდეგ, მორწმუნე ქრისტიანები კვირაობით მართლაც დადიან ეკლესიებში. ზოგიერთ არაქრისტიანულ ქვეყანაში კი, მაგალითად, ისრაელში და ასევე, ისლამისტურ სახელმწიფოებში, კვირა ჩვეულებრივი სამუშაო დღეა.

*glamur.us*

## ცნობილმა ექსპერტმა კომპიუტერების ანტივირუსებს უსარგებლო უწოდა



იერემია გროსმანი, რომელიც წარსულში ცნობილი ჰაკერი, დღეისთვის კი კომპიუტერული უსაფრთხოების სფეროში მომუშავე უმსხვილესი კომპანიის ტექნიკური დირექტორია, ანტივირუსებს ყოვლად უსარგებლოს უწოდებს და ამბობს, რომ ეს მხოლოდ უაზრო ფულის ხარჯვაა.

გროსმანის გამოცდილებიდან გამომდინარე, რთულია, არ დავიჯეროთ მისი მოსაზრება, რომ არც ერთ ანტივირუსს არ შეუძლია კომპიუტერის საფრთხეებისგან დაცვა, რომელიც მოცემული მომენტისთვის არსებობს.

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ გროსმანი, არამედ კომპიუტერული უსაფრთხოების სფეროს უამრავი ექსპერტი ასევე არ ენდობა ანტივირუსებს და ყველა ერთხმად ამბობს, რომ უმჯობესია, საეჭვო რესურსების მონახულებისგან თავის შეკავება და შეუმოწმებელი ფაილების გახსნა, ვიდრე ანტივირუსის ნდობა, რადგან ინტერნეტში აუცილებლად გამოჩნდება საფრთხე, რომელიც მომხმარებლის კომპიუტერს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს.

ცნობილია ისიც, რომ მხოლოდ 2013 წელს კორპორაციულმა სექტორმა მთელ მსოფლიოში ანტივირუსებზე 4 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დახარჯა, კერძო მომხმარებლების შემთხვევაში დახარჯული თანხის მოცულობა 5 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება.

*brisknews.ru*

## ამბიციური ადამიანების სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა



ამბობენ, ამბიციების გარეშე ადამიანს წინსვლა გაუჭირდებაო, რაც, პრინციპში, სავსებით მართალია. მაგრამ ხომ იცით, ადამიანს, ფაქტობრივად ყველაფერში, უკიდურესობაში გადავარდნა უწევს და თუ ერთს აგვარებს, მეორეს ძალაუნებურად აფუჭებს.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, უფრო სწორად, ფრანგი მკვლევარები ამბობენ ასე — ამბიციური ადამიანების სიცოცხლე ხანმოკლეაო.



ამბიციურ ადამიანს შეუძლია მიიღოს პრესტიჟული თანამდებობა, გადასარევი ხელფასი, საზოგადოების პატივისცემა, მაგრამ არ აქვს მთავარი — სულიერი ჰარმონია. სწორედ ეს მიზეზი სახელდება სიცოცხლის ხანგრძლივობის შემფერხებლად.

ამბიციის, ბედნიერებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის თემით ნოტრ-დამის უნივერსიტეტის სპეციალისტები დაინტერესდნენ.

ისინი შეეცადნენ, გაერკვიათ, რამდენად კმაყოფილები არიან ის ადამიანები, რომლებიც თავიანთი მიზნების მისაღწევად ყველაზე რადიკალური ნაბიჯების გადადგმასაც კი არ ერიდებიან.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, აღმოჩნდა, რომ ისინი სულაც არ ყოფილან ბედნიერები და ცხოვრებით კმაყოფილები. ჯანმრთელობის მხრივაც სწორედ ასეთ ადამიანებს ჰქონდათ უფრო სერიოზული პრობლემები და შედეგიც შესაბამისი დაუდგათ — ნაადრევი „ოთხი ფიცარი".

კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ მუდმივად კარიერასა და ფულზე ფიქრი ადამიანს ჰარმონიის გარეშე ტოვებს. კარიერისტებს პრაქტიკულად არ რჩებათ დრო თავიანთ ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობის შესანარჩუნებლად და ასე შემდეგ.

*myjane.ru*

## მისი სამუშაოა... შოკოლადების ჭამა



ფაქტია, სიუ სტოუნს მსოფლიოში ყველაზე ტკბილი სამსახური აქვს — ის მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და სხვადასხვა სახეობის შოკოლადს გემოს უსინჯავს.

თურმე, უკვე 27 წელია, რაც სიუ სტოუნი დღეში დაახლოებით 20 სახეობის შოკოლადს აგემოვნებს. რატომ და იმიტომ, რომ ის ტკბილეულის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლის თანამშრომელი გახლავთ.

სიუ სტოუნი უამრავ შოკოლადს იმისთვის სინჯავს, რომ ახალი სახეობის შესაქმნელად „მუზა მოუვიდეს".

– როცა ხალხს ჩემი პროფესიის შესახებ ვუყვები, მათ პირი ღია რჩებათ, – ამბობს სიუ სტოუნი, რომელსაც ასეთი უცნაური პროფესიის მიუხედავად, ჭარბი წონის პრობლემა სულაც არ აწუხებს.

*metro.co.uk*

## ელექტროსადგურის ძარცვისას, ქურდმა ტრანსფორმატორს მიაშარდა...



საბედნიეროდ, ცალტვინა და დაუფიქრებელი ქურდი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, თუმცა ორი ათასამდე სახლი ელექტროენერგიის გარეშე დატოვა და ერთწლიან პატიმრობასაც გამოჰკრა ხელი.

როგორც ირკვევა, 36 წლის მაიკლ ჰარპერი თანამზრახველთან, 50 წლის რიჩარდ ბოისთან ერთად, ელექტროსადგურზე შეიპარა, საიდანაც ფერადი ლითონის მოპარვას აპირებდა.

სანამ საქმეს შეუდგებოდნენ, ბოროტმოქმედებმა ჰეროინი შეისუნთქეს და ალბათ, სწორედ ამან თუ უბიძგა ჰარპერს, ნორმალური ადამიანისთვის ყოვლად წარმოუდგენელი ნაბიჯი გადაედგა — ის ტრანსფორმატორს მიადგა და შარდის ბუშტი დაცალა...

რიჩარდ ბოისს მოსამართლემ 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, მაიკლ ჰარპერს კი მხოლოდ 1 წელი აკმარა, რადგან ჩათვალა, რომ ეს უკანასკნელი უკვე საკმარისად დაისაჯა.

*huffingtonpost.com*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# საინტერესო ფაქტები „კალაშნიკოვის“ ავტომატის შესახებ



– 1947 წელს ავტომატის გამოგონების გამო, მიხეილ კალაშნიკოვმა სტალინის პირველი ხარისხის ჯილდო და წითელი ვარსკვლავის ორდენი მიიღო. ფულადმა პრემიამ 150 ათასი რუბლი შეადგინა. აღნიშნული თანხით, 10 „პობედის“ ყიდვა შეიძლებოდა, რომელიც იმ დროის უპრესტიჟულესი ავტომობილი გახლდათ.

– საბჭოთა კავშირის პერიოდში ნებისმიერმა საშუალო სკოლადამთავრებულმა მოზარდმა კარგად იცოდა კალაშნიკოვის დაშლა-აწყობა.

– ავტომატი „აკ-47“ ძალიან იაფია წარმოებაში. ზოგ ქვეყანაში, სადაც რუსული ავტომატის წარმოება დაიწყეს, მისი საფასური ქათმისას არ აღემატება.

– სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, ავტომატის ფასი „შავ ბაზარზე“ ავღანეთში 10 აშშ დოლარია, ინდოეთში – 3800 დოლარამდე. ამერიკაში კალაშნიკოვის ყიდვა 70-350 აშშ დოლარად შეიძლება.

– კალაშნიკოვის ავტომატი გინესის რეკორდების წიგნშიც არის შესული, როგორც მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული იარაღი. ბოლო მონაცემებით, დღეისთვის მსოფლიოში დაახლოებით 100 მილიონი „კალაშაა“ გავრცელებული.

– კალაშნიკოვის ავტომატი მსოფლიოს 106 სახელმწიფოს არმიასა და სპეცდანიშნულების რაზმს აქვს შეიარაღებაში მიღებული.

– რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, კალაშნიკოვი ზოგიერთი ქვეყნის გერბზეც კია გამოსახული. მაგალითად, მას შეხვდებით ზიმბაბვეს, მოზამბიკის, აღმოსავლეთ ტიმორის, ბურკინა-ფასოს, კონგოს გერბებზე, ასევე, „ჰეზბოლას“ ემბლემაზე და ასე შემდეგ.

– ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში ავტომატის პატივსაცემად, შვილებს კალაშასაც არქმევენ.

– ავღანეთში კალაშნიკოვის ავტომატს „კალახანს“ უწოდებენ, რაც სიტყვა „მეგობრის“ მნიშვნელობასთან არის ახლოს.

– სადამ ჰუსეინის ჩამოგდების შემდეგ, ამერიკელმა სამხედროებმა მის ერთ-ერთ ვილაში მოოქროვილი „აკ-47“ იპოვეს.

– XX საუკუნის მიწურულს, ფრანგულმა ჟურნალმა „ლიბერასიონმა“ კალაშნიკოვის ავტომატი საუკუნის გამოგონებად აღიარა. ცნობილმა იარაღმა შეძლო და დაჩრდილა ატომური ბომბი და კოსმოსური ტექნოლოგიები.

– მიიჩნევა, რომ კალაშნიკოვის ავტომატით მოკლულია გაცილებით ბევრი ადამიანი, ვიდრე არტილერიით, ავიადაბომბვებითა და სარაკეტო ცეცხლით.

– ლეგენდარული რუსი გამომგონებელი, გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ კალაშნიკოვი ყოველთვის ამბობს, რომ მთელი ცხოვრება ქმნიდა იარაღს თავდაცვისთვის და არა მკვლელობებისთვის: „მე მშვიდად მძინავს, რადგან ყოველთვის ვქმნიდი იარაღს თავდაცვისთვის. ეს პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ მოლაპარაკება და მას მკვლელობებისთვის იყენებენ“...

***stalker.uz***





პატარა ბიჭმა ლარნაკი გატეხა და რომ გააცნობიერა, მაინც მომხვდებაო, ადგა, ტელევიზორი გაყიდა, მაგრად დათვრა და სახლში მეძავებიც გამოიძახა...

*****



კოტე მეზობლის კარზე აკაკუნებს:

– უკვე ღამის 3 საათია, არ შეიძლება, მუსიკას ცოტა ჩაუწიოთ?!

– კაცო, წუხელ რომ ისე ხმაურობდით სექსის დროს შენ და შენი მეუღლე, ვთქვი რამე?

– მე წუხელ სახლში არ ვყო... უხ, შენი დედა კი...

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***






**სკანვორდი**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

# კომპიუტერთან მუშაობა ნაოჭების გაჩენის მიზეზიც ხდება



ალბათ, ეს ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი უსიამოვნებაა მათ შორის, რომელთა გამოწვევაც კომპიუტერს შეუძლია. თუმცა, რადგან საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა ასეთი საკითხიც წამოჭრეს, ჩვენც, უბრალოდ, გაგაფრთხილებთ.

– კომპიუტერი ვნებს არა მხოლოდ მხედველობას და ხერხემალს, არამედ ადრეულ ასაკში ნაოჭების გაჩენაც შეუძლია, – ასეთი დასკვნა ბრიტანელმა კოსმეტოლოგებმა გამოიტანეს.

მათ ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი მოითხოვს დახმარებას სიბერის ნიშნების დროზე ბევრად ადრე გაჩენის გამო. რაც მთავარია, ყველა ასეთი პაციენტი კომპიუტერთან საკმაოზე მეტად დიდ დროს ატარებს.

სპეციალისტებმა ამ პრობლემას „კომპიუტერული სახე“ დაარქვეს და განმარტავენ, რომ მონიტორთან მუდმივად ახლოს ჯდომის გამო, სახეზე ჩნდება ნაოჭები, ორმაგი ნიკაპი, სივდება ქვედა წამწამები.

ამ ყველაფრის მიზეზია კომპიუტერთან მჯდომი ადამიანის არასწორი პოზა. გარდა ამისა, ინფორმაციის კითხვისას თუ უბრალოდ, საიტების თვალიერებისას, ადამიანი მიმიკით რეაგირებს, რაც ხდება კიდეც ადრეული ნაოჭების გაჩენის მიზეზი.

მოსაზრების ავტორები აკონკრეტებენ, რომ ჩვეულებრივ, აღნიშნული პრობლემა მშვენიერ სქესს აწუხებს, თუმცა არც მამაკაცები არიან უკეთეს მდგომარეობაში.

***myjane.ru***

## მეცნიერები: ანტიბიოტიკები გასუქებას იწვევს

ზოგადად, ანტიბიოტიკების უარყოფით თვისებებზე ბევრს საუბრობენ და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: მეცნიერების თქმით, ანტიბიოტიკების ხშირი მიღება შესაძლოა, გასუქებით დასრულდეს.

მიზეზად სპეციალისტები იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ჩვეულებრივ, ანტიბაქტერიული პრეპარატები ნაწლავების ტრაქტში სასარგებლო მიკროფლორის რაოდენობას ამცირებენ.

მოსაზრების ავტორები ამერიკელი ბიოლოგები არიან, რომლებმაც კვლევები თაგვებზე ჩაატარეს.

მღრღნელებს ისინი დაახლოებით ისეთ ანტიბიოტიკებს აძლევდნენ, როგორსაც, ჩვეულებრივ, ბავშვებს ასმევენ ხოლმე (მოკლე კურსებით).

საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ასეთ ცხოველებს ტე-ლიმფოციტების გაცილებით დაბალი დონე აღმოაჩნდათ.

სპეციალისტების განმარტებით, ტე-ფიმფოციტების მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია სიმსუქნესთან. კერძოდ, რაც უფრო დაბალია იგი, ჭარბი წონაც მით უფრო ადვილად გროვდება.

ამერიკელების პარალელურად, აღნიშნულ საკითხზე დანიელმა მეცნიერებმაც იმუშავეს, რომლებმაც, საერთო ჯამში, დაახლოებით 28 ათასი ჩვილის მდგომარეობა შეისწავლეს. შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებიც დაბადების შემდეგ 6 თვის მანძილზე ანტიბიოტიკებს იღებდნენ, სიმსუქნისკენ იყვნენ მიდრეკილები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***today.kz***

**„ალია“ და „ქრონიკა“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური რედაქტორის თანამდებობაზე. აუცილებელია დიზაინის, Page Maker-ის, CorelDraw-ის, Photoshop-ის და Adobe Acrobat Professional-ის პროფესიონალურ დონეზე ცოდნა. დეტალების გასარკვევად დაგვიკავშირდით: 577777436.**

გაზეთები ალია და ქრონიკა

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**24 იანვარი:** დღეს ყველაზე ჯიუტი პოტენციური მოკავშირის დაყოლიებასაც კი შეძლებთ. ასეთი რამ იშვიათად ხდება, ამიტომ შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვათ.

**კურო 22.04-21.05**

**24 იანვარი:** შეიძლება თანამშრომლებთან ურთიერთობაში პრობლემები გაგიჩნდეთ. ძალიან ბევრს ნუ მოითხოვთ მათგან.

**ტყუპები 22.05-21.06**

**24 იანვარი:** თქვენი განწყობა, როგორც არასოდეს, გადამდები აღმოჩნდება. შეეცადეთ, დღეს კარგ ხასიათზე იყოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**24 იანვარი:** რაღაცის გამო, თანაც სულ ტყუილად, სინდისის ქენჯნა დაგტანჯავთ. ეს მხოლოდ თქვენს ფსიქიკას არ დაარტყამს, ვიღაცამ შეიძლება ეს გამოიყენოს და კისერზე მოგაჯდეთ.

**ლომი 23.07-22.08**

**24 იანვარი:** შეიძლება რაღაც საკითხში სპეციალისტის დახმარებაზე იფიქროთ. ეს ძვირი დაგიჯდებათ და ფულს ტყუილად გადაყრით. დღეს შინაგან ხმას ნუ მიენდობით.

**ქალწული 23.08-22.09**

**24 იანვარი:** დღეს ყველას მიმართ ზომაზე მეტად კეთილგანწყობილი იქნებით.. ფრთხილად, ვინმემ ბინძურ საქმეში არ ჩაგითრიოთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**24 იანვარი:** დღეს, როგორც ჩანს, საქმეების კეთება ძალიან გაგიჭირდებათ, რადგან ფანტაზიის უნარი გაგიმძაფრდებათ და რეალობას მნიშვნელოვნად მოწყდებით.

**მორიელი 23.10-21.11**

**24 იანვარი:** შანსი გაქვთ, ჯადოსნური თავგადასავლების მონაწილე გახდეთ, მაგრამ რაღაც ხელს შეგიშლით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**24 იანვარი:** შეიძლება, სიტუაცია ისე განვითარდეს, რომ განსჯისთვის დრო არ დაგრჩეთ და დაუყოვნებლივ მოქმედება მოგიწიოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**24 იანვარი:** დღეს გრძნობები საკმაოდ გამძაფრებული გექნებათ. სურვილის შემთხვევაში ნებისმიერი ადამიანის ჩანაფიქრს ამოიცნობთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**24 იანვარი:** შემოქმედებითად იქნებით განწყობილი. თუ გაგიმართლებთ, შედეგს აუცილებლად მიიღებთ, იმავე მომენტში თუ არა, მოგვიანებით მაინც.

**თევზები 19.02-20.03**

**24 იანვარი:** ზოგჯერ შეჩერება ძნელია, მით უმეტეს, თუ სისწრაფე უკვე აკრეფილი გაქვთ. ურიგო არ იქნება, თუ თანამოსაუბრესაც მისცემთ აზრის გამოთქმის საშუალებას.

**ერაყის რესპუბლიკის საელჩოს თბილისში სარემონტო და მოსაპირკეთებელი სამუშაოს ჩატარების პროექტის ტენდერი №(1/7) 2013**

ერაყის რესპუბლიკის საელჩო თბილისში აცხადებს ტენდერს საელჩოს შენობის რეკონსტრუქციისა და მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარებაზე. საინჟინრო სფეროში დაკავებულმა კომპეტენტურმა საკონსულტაციო ოფისებმა და კომპანიებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტენდერში მონაწილეობის მიღებაში, მიმართონ ერაყის საელჩოს თბილისში სატენდერო დოკუმენტაციის შეძენისთვის (ფასი: 150 აშშ დოლარი, არადაბრუნებადი თანხა).

სატენდერო შემოთავაზება უნდა წარმოდგენილ იქნეს დაბეჭდილ კონვერტში, რომელზეც გარკვევით უნდა ჩანდეს ტენდერის ნომერი №(1/7) 2013. შემოთავაზებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 20 თებერვალი, 16:00.

ის შემოთავაზება, რომელიც არ დააკმაყოფილებს სატენდერო პირობებს, განხილული არ იქნება. საელჩო იტოვებს უფლებას, მიიღოს ან უარი განაცხადოს შემოთავაზებაზე, მიზეზების ახსნის გარეშე.

მეტი ინფორმაციისთვის მიმართეთ ერაყის რესპუბლიკის საელჩოს თბილისში:

ტელეფონი : +995 32 2234501

ფაქსი: +995 32 2294503

ელექტრონული ფოსტა : **iraqiageoemb@yahoo.com**

# რატომ ჩნდება ქერტლი?



უხერხულობა და სირცხვილი, რომელსაც განიცდის ყველა, ვინც საკუთარ მხრებზე „თოვლს“ ხედავს, არაფერია ორგანიზმის პრობლემებთან შედარებით, რაზეც ქერტლის გაჩენა შეიძლება მიუთითებდეს.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ქერტლი ჩნდება, ქონის ჯირკვლების არასწორი მუშაობაა. თავის მხრივ, ასეთი დარღვევა მაშინ ხდება, როცა ადამიანი პანკრიასის ან ფარისებრი ჯირკვლის პრობლემებს განიცდის. ასევე, პრობლემები აქვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაში.

სპეციალისტები ამბობენ, რომ როგორი შამპუნიც არ უნდა გამოიყენოს ადამიანმა, შესაძლოა, ქერტლისგან თავი მაინც ვერ დაიხსნას. ასეთ შემთხვევაში, უმჯობესია ექიმთან მისვლა, თუ არადა, უნდა მოხდეს ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების მიღება ან სამკურნალო შამპუნებით ბანაობა. გარდა ამისა, საჭიროა დე, ა, ე ბე1 და ბე6 ვიტამინები.

***brisknews.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ახალგაზრდა წყვილს შვილები დიდხანს არ უჩნდებოდა. ვიღაცამ ურჩია, რომში წადით, ამა და ამ ტაძარში სანთელი დაანთეთ და ნატვრა აგიხდებათო...

რამდენიმე წლის წინათ რჩევის ავტორი ამ წყვილის სახლთან მოხვდა და მონახულება გადაწყვიტა. მათ სახლთან მისულს ზღურბლთან ხუთი ბავშვი დაუხვდა:

– თქვენი დედიკო სად არის?

– სამშობიაროშია, ბიძია...

– და მამიკო?

– მამიკო რომში წავიდა, რაღაც სანთლის ჩასაქრობად...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი ბადრი ქევანიშვილი

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.22

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170 577-444-442 მიხეილ სახვაძე 21 21 80 ან 233 20 06 (შიდა ნომერი 108) E-mail: reklama@alia.ge

® დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.